


თბილისის
# უნივერსიტეტი

30 ივნისი, ხუთშაბათი, 2011 წ. №9    ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთი გამოდის 1927 წლიდან


# უნივერსიტეტების ფინანსურად მართვის ახალი შესაძლებლობები

## რა აისახა კანონში?

*17 ივნისს საქართველოს პარლამენტმა მესამე მოსმენით მიიღო ცვლილებები „საქართველოს უმაღლესი განათლების შესახებ" კანონში. საკანონმდებლო ინიციატივის თანახმად, იცვლება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, რაც სახელმწიფოს საშუალებას აძლევს — უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები კერძო სამართლის არასამეწარმეო, არაკომერციულ იურიდიულ პირად დააფუძნოს. ამ ინიციატივის პარლამენტში დამტკიცებას დიდი ხანია ელოდებოდნენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, რაც უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას რიგ საკითხებთან მიმართებაში დამოუკიდებელი გადაწყვეტილებების მიღებისკენ გზას უხსნის. ამ სიახლის თაობაზე გვესაუბრება საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერებებისა და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე* ხათუნა ოჩიაური.



***— რატომ დადგა დღის წესრიგში „უმაღლესი განათლების შესახებ" კანონში ცვლილებების შეტანის აუცილებლობა?***

— „უმაღლესი განათლების შესახებ" კანონში ხშირად დგება ცვლილებების შეტანის აუცილებლობა. ეს გახლავთ ჩვეულებრივი საკანონმდებლო პროცესი, რადგანაც უმაღლესი განათლების კანონი ახალ მოთხოვნებთან, ახალ გამოწვევებთან და რეალობასთან მიმართებაში იხვეწება. ასეთი მიდგომა რეფორმის ადრეულ ეტაპზე იყო დაგეგმილი, რადგან საჯარო სამართლის იურიდიული პირი ბევრ რამეშია შეზღუდული, მაგალითად, ექვემდებარება სამინისტროსაგან სახელმწიფო კონტროლს. ეს გულისხმობს, მაგალითად, იმას, რომ საშტატო განრიგს უნივერსიტეტი დღეს დამოუკიდებლად ვერ ამტკიცებს. ანუ რამდენი პროფესორი, რამდენი დამხმარე პერსონალი სჭირდება — ამას მთლიანად აკონტროლებს განათლების სამინისტრო. გარდა ამისა, იგი ვერ გააქირავებს თავის ქონებას. დღეს ამ საკითხზე შეთანხმება უნდა იყოს განათლებისა და ეკონომიკის სამინისტროებთან. კანონში ცვლილებები კი კარგ მენეჯერს უნივერსიტეტის უკეთ მართვის შესაძლებლობას აძლევს.

***— კონკრეტულად რა ცვლილებები შევიდა ამ კანონში?***

— ყველასთვის ცნობილია, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები იყვნენ ე.წ. სსიპ-ები (საჯარო სამართლის იურიდიული პირები). ამ ცვლილებით, ეს კანონი უფრო მოქნილი რომ გამხდარიყო და უმაღლესი სასწავლებლებისთვის დამოუკიდებლობის უფრო მეტი საშუალება რომ მიგვეცა, საჭირო გახდა ამ ცვლილებების მიღება.

ცვლილებების საფუძველზე უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს ნებაყოფლობით შეეძლებათ გახდნენ არასამეწარმეო იურიდიული პირები (აიპ). ახალი ცვლილების არსი იმაში მდგომარეობს, რომ მათ სურვილის შემთხვევაში შეეძლებათ საკუთრებაში გადაეცეთ ის ქონება, რომელსაც ისინი დღეს განკარგავენ.

ასევე სიახლეა, რომ უმაღლეს სასწავლებლებს, რომლებიც ნებაყოფლობით გადაკეთდებიან აიპ-ად, შეეძლებათ შექმნან უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების განვითარების ფონდი, რაც მათ საშუალებას მისცემთ, კიდევ უფრო თავისუფლად მოიზიდონ ფინანსები და ეს ფინანსები მოახმარონ საგანმანათლებლო დაწესებულების განვითარებას.

ვინაიდან, კანონში შეტანილი ცვლილების საფუძველზე, აიპ-ად გადაკეთებულ უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებს სოლიდური ქონება გადაეცემათ, სახელმწიფოს მხრიდან ჩნდება აუცილებლობა ამ ქონების მონიტორინგისა, რათა დაზღვეული ვიყოთ არასასურველი გასხვისებისა თუ ქონების ზედმეტად თავისუფლად განკარგვის შემთხვევებისგან.

მე-2 გვერდზე

# გამოცდებისას დასმული პრობლემები

*უკვე რამდენიმე წელია, რაც ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გამოცდებს საგამოცდო ცენტრი ატარებს. სტუდენტებს შეცვლილ გარემოში, მკაცრი მეთვალყურეობის ქვეშ უწევთ გამოცდების ჩაბარება. როგორც საგამოცდო ცენტრის ხელმძღვანელობა აცხადებს, ამ ცვლილებამ გაამართლა, რადგან სტუდენტების უმეტესი ნაწილი სემესტრის დამამთავრებელ გამოცდებზე უკვე გაცილებით უკეთ მომზადებული მოდის, ვიდრე წინა წლებში და „შპარგალკების" ტრადიციაც ნელ-ნელა იკარგება. თუმცა გამოცდების ჩატარების პროცედურას სირთულეები მაინც ახლავს თან.*

*ჩვენ სოციალურ ქსელზე — www.facebook.com-ზე თსუ-ის გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის" პროფილის საშუალებით სტუდენტებს დავუსვით კითხვა — რა პრობლემებს აწყდებიან ისინი გამოცდების მსვლელობისას? აღმოჩნდა, რომ ახალგაზრდების ნაწილს ამ საკითხთან დაკავშირებით არანაირი პრეტენზია არ გააჩნია, თუმცა ნაწილს საგამოცდო პროცესის მიმდინარეობისას სხვადასხვა სახის პრობლემები ექმნება. წამოჭრილ თემებზე სასაუბროდ მივმართეთ საგამოცდო ცენტრის უფროსის მოვალეობის შემსრულებელს* მაია ჩიღვინაძეს.



ნატო ოზოლაძე

***— სტუდენტები პრეტენზიას გამოთქვამენ იმასთან დაკავშირებით, რომ გამოცდები მაღლივში ტარდება, რომელიც, მათი აზრით, ძნელად მისადგომი ადგილია. რატომ მიიღეთ გამოცდების აქ ჩატარების გადაწყვეტილება?***

— როდესაც საგამოცდო ცენტრის შექმნის საკითხი წამოიჭრა, პირველ რიგში დავიწყეთ ფიქრი იმაზე, სად შეიძლებოდა განთავსებულიყო ამდენი სტუდენტი ერთად. ეს ყველაზე რთული ამოცანა იყო. დავათვალიერეთ თსუ-ის ყველა შენობა. როდესაც პირველად ჩავატარეთ გამოც-

მე-3 გვერდზე


ქიმიის სამყარო
მე-5–8 გვ.

უნივერსიტეტი მართვის ახალ ელექტრონულ სისტემაზე გადადის
მე-2 გვერდზე

ახალი სასწავლო სახელმძღვანელო „ბუნებათსარგებლობის გეოგრაფია"
მე-3 გვერდზე

ბიზნეს-ოლიმპიადაში გამარჯვებული „ქართველი"
მე-3 გვერდზე

სტუდენტების სტაჟირება დასაქმების პერსპექტივით
მე-4 გვერდზე

თსუ მოსწავლეებს საატესტატო გამოცდებისთვის მოამზადებს
მე-9 გვერდზე

რისთვის ივსებოდა მეცენატის ყულაბა
მე-11 გვერდზე

სტუდქალაქის ხიბლი
მე-11 გვერდზე

# უნივერსიტეტების ფინანსურად მართვის ახალი შესაძლებლობები

პირველი გვერდიდან

ამ ქონების გასხვისებაზე კონტროლს დააწესებს რეგენტთა საბჭო. საბჭო დაკომპლექტდება ადამიანებით, რომლებიც ხელფასს არ მიიღებენ (ჯერ არ არის დადგენილი, რამდენი ადამიანისგან შედგება საბჭო, იგულისხმება 8-10 ადამიანი, ისინი მოაგვარებენ ამ გადაცემული ქონების გასხვისებასთან დაკავშირებულ პრობლემას. რეგენტთა საბჭო შეეხება უმაღლესი სასწავლებლის თავდაპირველ ბიუჯეტს, ხოლო შემდეგ, ბიუჯეტის 15%-ის ფარგლებში, რაც საკმაოდ სერიოზული თანხაა, უმაღლეს სასწავლებლებს თავისუფალი მოქმედების საშუალება ექნებათ. და თუ ფინანსების განკარგვა გადააჭარბებს ბიუჯეტის 15%-ზე მეტს, ეს ცვლილებები უნდა შეთანხმდეს რეგენტთა საბჭოსთან. საბჭოს, ასევე, მინიჭებული აქვს უფლება, რომ დანიშნოს და უმაღლესი სასწავლებლის კოლეგიალურ ორგანოს წარუდგინოს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, რომელიც უნდა შეითანხმოს უმაღლესი სასწავლებლის კოლეგიალურმა ორგანომ.

თუ უნივერსიტეტი მიიღებს გადაწყვეტილებას, რომ მათ ურჩევნიათ არასამეწარმეო იურიდიული ფორმა, რაც გულისხმობს ერთდროულად ბევრ თავისუფლებას და რაღაც შეზღუდვებს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელი იქნება წარდგენილი რეგენტთა საბჭოს მიერ. ანუ, უნივერსიტეტი არ წარმოადგენს კანდიდატურას.

უნივერსიტეტმა ფონდის დირექტორის კანდიდატურაც უნდა წარუდგინოს რეგენტთა საბჭოს.

— ***ამ ცვლილებებით ხომ არ შეიზღუდება რექტორის უფლებები?***

— რექტორი პასუხისმგებელია სასწავლებლის აკადემიურ საქმიანობაზე, იგი იქნება ისევ არჩევითი, განაგებს უმაღლესი სასწავლებლის პოლიტიკას, ანუ არაფერი იცვლება — რა სამსახურეობრივი მოვალეობებიც ჰქონდა, იგივე რჩება.

მიუხედავად იმისა, რომ ბიუჯეტს ამტკიცებს რეგენტთა საბჭო, კანონში არის ჩანაწერი, რომ ადმინისტრაციის ხელმძღვანელი ვალდებულია, ეს ბიუჯეტი მოამზადოს უმაღლესი სასწავლებლის კოლეგიალურ ორგანოსთან ერთად, ანუ თავად უნივერსიტეტთან შეთანხმებით, რექტორი კი არის ამ უმაღლესი სასწავლებლის კოლეგიალური ორგანოს თავმჯდომარე.

— ***წარმომადგენლობითი საბჭოები იარსებებს?***

— ეს უნივერსიტეტზეა დამოკიდებული, რადგან კანონში წერია, რომ აუცილებელია მინიმუმ ერთი კოლეგიალური ორგანოს არსებობა. ამას ერქმება წარმომადგენლობითი საბჭო, აკადემიური საბჭო თუ სხვა სახელი, ან თუ იქნება ორი ასეთი ორგანო, ეს თავად უნივერსიტეტმა უნდა გადაწყვიტოს. მოკლედ, როგორც წესდებაში ჩაწერენ, ისე იქნება. მაგრამ სავალდებულო აღარ არის ორი საბჭოს არსებობა.

— ***რეგენტთა საბჭო არჩევითი იქნება თუ დაინიშნება?***

— ეს არის დანიშვნითი ორგანო. ყველა წევრს დანიშნავს საქართველოს მთავრობა. რადგან უნივერსიტეტი იქნება სახელმწიფოს მიერ გადაცემული ქონების მფლობელი, ამ ქონების განკარგვასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღების შესაძლებლობა მას რეგენტთა საბჭოს მეშვეობით ექნება.

— ***ეს ცვლილებები, ალბათ, ავტომატურად გამოიწვევს უნივერსიტეტების წესდებების ცვლილებასაც...***

— რასაკვირველია, მოუწევთ. უნივერსიტეტი თავისი წესდებით ძალიან ზრდის თავისუფლების ხარისხს და დიდი დამოუკიდებლობა ეძლევა საკითხების გადასაჭრელად.

აიპ-ის შესყიდვებთან დაკავშირებით ექნება შესყიდვების სპეციალურად გამარტივებული წესები სახელმძღვანელოებზე, ელექტრონულ წიგნებზე და ა.შ. ამ მხრივ, ისინი არ დაექვემდებარებიან შესყიდვების ძირითად კანონს.

— ***თქვენი აზრით, რას გამოიწვევს ეს ცვლილებები და რამდენად განაპირობებს უნივერსიტეტების დამოუკიდებლობას?***

— ასე ვიტყოდი, რომ ეს ცვლილებები არ განაპირობებს უნივერსიტეტების დამოუკიდებლობას, რადგანაც ეს მათ დღევანდელი მოქმედი კანონმდებლობით ისედაც გარანტირებული აქვთ. ცვლილებები ხელს შეუწყობს მხოლოდ და მხოლოდ დამატებითი ფინანსების მოზიდვას იმ უნივერსიტეტებისთვის, ვინც ახალ სისტემაზე გადავა. მათთვის უფრო ფართო ასპარეზი იშლება უნივერსიტეტის განვითარების თვალსაზრისით. ანუ, საშუალება ექნებათ საკუთარი მიზნებიდან თუ ინტერესებიდან გამომდინარე, ფონდის საშუალებით მოიზიდონ და განკარგონ თანხები. აი, ამ მხრივ ექნებათ ბევრად მეტი თავისუფლება და მეტი შესაძლებლობები.

*მოამზადა* **მაია ტორაძე**

*სიახლე*

# უნივერსიტეტი მართვის ახალ ელექტრონულ სისტემაზე გადადის

*თსუ-ის ხელმძღვანელობის მიზანია გერმანიის ტექნიკური უნივერსიტეტის კამპუსის მართვის ელექტრონული პროგრამა NOAH–ის ადაპტაცია უნივერსიტეტში. სისტემა სტუდენტებს საშუალებას მისცემს, სასწავლო კურსებსა და სემინარებზე დარეგისტრირდნენ ელექტრონულად. ეს გადაჭრის იმ უამრავ პრობლემასაც, რომელიც შეეხება რეგისტრაციის რიგებს, ლექციების დამთხვევას და ა.შ. ახალი ელექტრონული სისტემა გაუადვილებს სწავლის პროცესს როგორც სტუდენტებს, ასევე უნივერსიტეტის ადმინისტრაციას. ონლაინ სისტემა ჯერ გაიშვება ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე ტესტურ რეჟიმში და შემდეგ უკვე ყველა ფაკულტეტზე წლის ბოლომდე.*

**თამარ დადიანი**

თსუ-ის აკადემიური პროცესების მართვის სისტემის გაუმჯობესების მიზნით ახალ პროექტზე მუშაობა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2009 წლის ოქტომბრიდან მიმდინარეობს.

სისტემა NOAH წარმოადგენს კომპანია HEISS GmbH-ს პროდუქტს, დაფუძნებულია „ღია წყაროზე" და ადაპტირებადია ბოლონიის პროცესში მონაწილე უნივერსიტეტის საჭიროებაზე. თსუ-ში კამპუსის ელექტრონული მართვის ახალი სისტემის NOAH-ს დანერგვა პროექტის — „თსუ-ის მართვის უნარების გაუმჯობესების" ფარგლებში მიმდინარეობს, რომელიც გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) დაფინანსებით ხორციელდება.

2010 წლის პირველ ნახევარში, თსუ-ში მიმდინარე ადმინისტრაციული და აკადემიური პროცესების ანალიზის შედეგად მოხდა მიუნხენის ტექნიკური უნივერსიტეტის შვილობილი კომპანიის მიერ შემუშავებული „კამპუსის" მართვის ელექტრონული სისტემა NOAH-ს ადაპტაცია თსუ-ის საჭიროებებისთვის.

აპლიკაცია „TSUonline" სტუდენტების სასწავლო ციკლის ელექტრონულად მართვის საშუალებას იძლევა. თსუ-ის საჭიროებებისთვის ადაპტირებული სისტემის მოდულებია: ადმინისტრაციული და აკადემიური რეგისტრაციის პროცესების მართვა; აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების შესახებ ფორმირებული დოკუმენტების და ბრძანებების მართვის სისტემა; გამოცდების პროცესის დაგეგმვა, მართვა და შეფასება; ანგარიშები და საუნივერსიტეტო სტატისტიკის წარმოება; ცნობების, დიპლომების დანართების გენერირება.

კამპუსის მართვის ახალი ელექტრონული სისტემა NOAH სტუდენტებს საშუალებას მისცემს სასწავლო კურსებზე, სემინარებსა და ლაბორატორიულ სამუშაოებზე ელექტრონულად დარეგისტრირდნენ. სისტემა ავტომატურ რეჟიმში გეგმავს სტუდენტის ინდივიდუალური მოთხოვნებისათვის ყველაზე შესაფერის სასწავლო ცხრილს, ერთმანეთს ადარებს რა 100 000 შესაძლო კომბინაციას. შესაბამისად, ეს სისტემა ლექციების დამთხვევის პრობლემას მოხსნის. NOAH-ს საშუალებით მათ, ასევე, შეეძლებათ ისარგებლონ უნივერსიტეტში არსებული ელექტრონული ყველა სასწავლო რესურსით და საკომუნიკაციო საშუალებით. სისტემაში სტუდენტების მიერ სასწავლო პერიოდში დაგროვილი კრედიტების შესახებ ინფორმაციაც სრულად იქნება ასახული, რაც ელექტრონული ცნობების გენერირების საშუალებას იძლევა. ეს უზრუნველყოფს იმასაც, რომ სწავლების ციკლი მთლიანად ვებზე დაფუძნებული აპლიკაციით მართონ. თუკი სტუდენტს სასწავლო პროცესთან დაკავშირებით რაიმე კითხვა გაუჩნდება, პასუხის მიღება ელექტრონული ფორმით შეეძლება.



თემის რესპონდენტი
თეა გერგედავა

**თსუ-ის საჭიროებებზე მორგებული, გაქართულებული სისტემა უკვე არსებობს, შემდეგი ეტაპია ჯერ ერთ ფაკულტეტზე ამის მორგება და შემდეგ მისი გადატანა დანარჩენ ფაკულტეტებზე.**

კამპუსის მართვის ახალ ელექტრონულ სისტემაში თითოეულ პროფესორ-მასწავლებელს თავისი პერსონალური გვერდი ექნება, რაც მას საშუალებას მისცემს ელექტრონული კომუნიკაციის მეთოდების გამოყენებით პირდაპირი კავშირი დაამყაროს თავის სტუდენტებთან — მიაწოდოს ინფორმაცია ლექციების დროის შეცვლისა თუ სალექციო კურსის შესახებ. NOAH-ს დახმარებით სტუდენტების ანონიმური გამოკითხვაც შესაძლებელია. დამტკიცებულია, რომ ახალგაზრდების მიერ პროფესორ-მასწავლებლების შეფასება სწავლების სტანდარტის ამაღლებას უწყობს ხელს.

***თეა გერგედავა, თსუ-ის საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის ხელმძღვანელი:***

— დასავლეთში ყველა წარმატებულ უნივერსიტეტს აქვს კამპუსის მართვის ელექტრონული სისტემა. ეს არის უნივერსიტეტის ეფექტურად მართვის ინსტრუმენტი. მართვის უნარების გაუმჯობესება თსუ-ში არ გულისხმობს მხოლოდ ერთი ელექტრონული პროგრამის შექმნას. იგი ითვალისწინებს უნივერსიტეტის მართვაში საერთაშორისო და აღიარებული ელექტრონული რესურსებისა და მეთოდების გამოყენებას.

ამ სისტემის მიხედვით, სასწავლო პროცესის მართვა ხდება ელექტრონული გზით და არა ფურცლებზე ასახული დოკუმენტების მეშვეობით. ფურცლებზე ინფორმაციის შენახვა ელექტრონული შენახვის ვერსიით შეიცვლება.

კამპუსის ელექტრონული მართვის ახალი სისტემა NOAH გერმანიის ტექნიკურ უნივერსიტეტში 2005 წელს შემუშავდა. სისტემის კონცეფციის ავტორი დოქტორი კრისტენ ჰაისია, რომელიც წლების განმავლობაში მიუნხენის ტექნიკური უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტზე მუშაობდა. NOAH-ს შესახებ გერმანიისა და შვეიცარიის რეგიონალური შეფასების კომისიამ სპეციალური დასკვნა გამოაქვეყნა, სადაც აღნიშნულია, რომ ეს სისტემა აქამდე არსებული უმაღლესი სასწავლებლების მართვის ყველა საშუალებებზე ბევრად უკეთესი და გამართულია. თუმცა, კამპუსის ელექტრონული მართვის ახალი სისტემის დანერგვა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ზუსტად იმ სახით, როგორც მიუნხენის ტექნიკურ უნივერსიტეტში მოქმედებს, არ მოხდება. თსუ-ის საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტში აქტიური მუშაობა მიმდინარეობს, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში აქამდე არსებულ მართვის სისტემასთან NOAH-ას ადაპტაცია მოხდეს.

თსუ-ის საჭიროებებზე მორგებული, გაქართულებული სისტემა უკვე არსებობს, შემდეგი ეტაპია ჯერ ერთ ფაკულტეტზე ამის მორგება და შემდეგ მისი გადატანა დანარჩენ ფაკულტეტებზე.

ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური პრობლემა, რომელიც სტუდენტებს აწუხებთ, ლექციების დროის დამთხვევაა. სტუდენტებს მათთვის საჭირო ამა თუ იმ დოკუმენტის მისაღებადაც უწევთ ლოდინი, რის გამოც ხშირად პრეტენზიებს გამოთქვამენ. ამ სისტემის წყალობით ეს პრობლემები ნამდვილად მოიხსნება. სისტემა მას თავდაპირველად სავალდებულო საგნების სიას აჩვენებს, შემდეგ არჩევითი საგნების სიას შესთავაზებს, საგნების არჩევის დროს სისტემა მას აუცილებლად ეტყვის — თუ საგნები ერთმანეთს ემთხვევა. სტუდენტს შესაძლებლობა ექნება ლექციების ცხრილი, განრიგი საკუთარ ტელეფონზე დააიმპორტოს, ან მეილზე მიაბას.

ამ სისტემით გათვალისწინებულია აგრეთვე ადმინისტრაციის ბრძანებების მასობრივი ატვირთვა. თუ რაიმე ტიპის ბრძანება სტუდენტთა გარკვეულ კატეგორიას ეხება, ბაზის ადმინისტრატორს შეუძლია ის ავტომატურად მიაკრას სტუდენტის პროფილზე. სტუდენტი აუცილებლად მიიღებს შეტყობინებას ამის შესახებ. სისტემას აქვს პროფესორის მოდული. მას შეუძლია თავის კლასზე დარეგისტრირებული სტუდენტების სია ნახოს, გარდა ამისა, მას შეუძლია ყველა კლასისათვის ატვირთოს საკითხავი ლიტერატურის, დავალებების ნუსხა და აკონტროლოს ეს ყველაფერი.

ასევე, გათვალისწინებულია საგამოცდო საკითხების ბანკის შექმნა, სადაც პროფესორებს შესაძლებლობა ექნებათ სასწავლო წლის დასაწყისშივე ატვირთონ მათ მიერ წაკითხული მიმდინარე კურსის საგამოცდო საკითხები და გახადონ ის ღია ან დახურული.

ამჟამად ამ სისტემის ტესტირება მიმდინარეობს, რათა საბოლოოდ დავრწმუნდეთ, რომ ეს პროგრამა ზუსტად პასუხობს ყველა იმ მოთხოვნებს, რაც სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით და სხვა ნორმატიული დოკუმენტებით არის აქტუალური თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

# გამოცდებისას დასმული პრობლემები

პირველი გვერდიდან

დები ერთიანი პრინციპით, საგნების მხოლოდ 30% მოვიცავით, რადგან ამისათვის ორი დარბაზი გვქონდა გამოყოფილი და იქ მხოლოდ 1000 სტუდენტი ეტეოდა. მოგვიანებით უკვე სხვა დარბაზებიც გარემონტდა. იმისათვის, რომ სტუდენტებმა კომფორტულ გარემოში დაწერონ საგამოცდო საკითხები, თსუ-ის ადმინისტრაციამ გადაწყვიტა, რომ ბიბლიოთეკის შენობა აგვეთვისებინა. ხოლო რაც შეეხება სტუდენტების იმ აზრს, რომ მაღლივი, სადაც ბიბლიოთეკის შენობაა განთავსებული, ძნელად მისადგომი ადგილია, უნდა გითხრათ, რომ როგორც ჩვენ, ასევე, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტებსა და პროფესორ-მასწავლებლებს აქ ამოსვლა ყოველ დღე გვიწევს და რაიმე განსაკუთრებული პრობლემა არ შეგვქმნია.

— ***როგორც სტუდენტები აცხადებენ, იმ ადგილზე, სადაც გამოცდები ტარდება, ზაფხულში სიცხეა, ზამთარში კი სიცივე. შესაძლებელია თუ არა მათთვის ამ მხრივ კომფორტული გარემოს შექმნა?***

— რა თქმა უნდა, სტუდენტებისთვის კომფორტული გარემოს შექმნა შეიძლება. შარშან დიდ დარბაზში უკვე გაკეთდა ცენტრალური გათბობა, ზამთრამდე კი ეს პრობლემა პატარა დარბაზებშიც მოგვარდება. ეს ყველაფერი არის ეტაპობრივი პროცესი, რადგან ფინანსებთან არის დაკავშირებული, რაზეც საგამოცდო ცენტრი არ არის პასუხისმგებელი. დაგეგმილი გვქონდა ამ ზაფხულისთვის კონდიციონერების დამონტაჟება, თუმცა ადმინისტრაციაში განხორციელებული ცვლილებების გამო ეს პროცესი დროებით შეჩერდა. იმედი მაქვს, რომ უახლოეს მომავალში გაგრილების საშუალებაც გვექნება.

— ***სტუდენტების უმრავლესობა აცხადებს, რომ გამოცდების პასუხები გვიან ქვეყნდება. რა არის ამის მიზეზი და რამდენად შესაძლებელია მათთვის პასუხების დროულად მიწოდება?***

— ამ კითხვით ჩვენც ძალიან ხშირად მოგვმართავენ, მაგრამ მინდა გითხრათ, რომ მთავრდება თუ არა გამოცდა, მეორე დილით მოდის მანქანა და ნაწერები შესაბამისი ფაკულტეტების დეკანატებში მიაქვს. არსებობს ბრძანება, რომ ლექტორმა თავისი სტუდენტების ნაშრომები იმავე დღეს უნდა წაიღოს და 5 დღეში შესწორებული ნაწერები დეკანატში დააბრუნოს, საიდანაც ამ ნაშრომებს ისევ ჩვენ გვიგზავნიან. ეს პროცესი მაქსიმუმ 6 დღის მანძილზე მიმდინარეობს. ჩვენთან კი 8 კაციანი ჯგუფი მუშაობს, რომელიც ნიშნებს იმავე საღამოს, ან მეორე დილით სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომს ხდის. გამოცდების შედეგების დროულად გაგება უფრო პედაგოგზეა დამოკიდებული. მესმის მათიც... როდესაც 300 ან 400 ნაწერია გასასწორებელი, რა თქმა უნდა, ეს ერთბაშად რთულია და არის შემთხვევები, როდესაც ეტაპობრივად გვაწვდიან პასუხებს.

— ***სტუდენტები გამოთქვამენ უკმაყოფილებას, რომ გამოცდებზე დამკვირვებლები უხეშად იქცევიან. დგას თუ არა რეალურად ეს პრობლემა?***

— არც ერთი დამკვირვებელი უხეში არ არის და არც შეიძლება ადამიანმა ვინმეს უმიზეზოდ მისცე შენიშვნა. თუკი სტუდენტი წერს, მას არავინ არაფერს ეუბნება, მაგრამ გამოცდის მსვლელობისას როცა დაიწყება ერთმანეთში გადალაპარაკება ან ხმაური, ასეთ შემთხვევაში დამკვირვებელი მოვალეც კია, სტუდენტს შენიშვნა მისცეს. ჩვენს მეთვალყურეებს ყოველთვის მკაცრად ვაფრთხილებთ და ისინიც ცდილობენ, რომ იყვნენ კორექტულები და არავითარ შემთხვევაში არ შევიდნენ სტუდენტთან პოლემიკაში. იშვიათად, მაგრამ მაინც ყოფილა შემთხვევა, როდესაც სიტუაცია იძაბება, მაგრამ ყველანაირად ვცდილობთ, აღვკვეთოთ ასეთი სიტუაციები როგორც სტუდენტების, ასევე, დამკვირვებლების მხრიდანაც. საერთო ვითარებას თუ შევაფასებთ, მიმაჩნია, რომ მეთვალყურეები ძალიან კორექტულები არიან.

— ***რას უკრძალავთ სტუდენტებს გამოცდების მიმდინარეობისას და რამდენად იცავენ ისინი წესებს?***

— თსუ-ის ვებ-გვერდზე სტუდენტების უფლება-მოვალეობებია განთავსებული და მათ ეს უნდა წაიკითხონ. მათ საგამოცდო დარბაზში ეკრძალებათ „შპარგალკების", ყურსასმენების, ასევე, მობილური ტელეფონების შემოტანა. თუ ტელეფონს მაინც მოიტანენ, დამკვირვებლის მაგიდაზე უნდა დატოვონ და გამოცდის დამთავრების შემდეგ წაიღონ, რადგან, მობილურის აღმოჩენის შემთხვევაში, სტუდენტი გამოცდიდან იხსნება. მერწმუნეთ, ეს არავის სიამოვნებს, ჩემთვისაც მტკივნეული პროცესია, მაგრამ ამას ისევ სტუდენტისთვის ვაკეთებთ, რათა შემდეგში გამოცდაზე უფრო მომზადებული მოვიდეს. მაგალითად, იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებთან პრობლემურია ის მოთხოვნა, რომ კოდექსებში არ უნდა ედოთ სხვა ფურცლები, არ უნდა ჰქონდეთ გაკეთებული მინაწერები. მეტ-ნაკლებად ამას ვაკონტროლებთ, მაგრამ სათითაოდ ყველა წიგნს მაინც ვერ ვათვალიერებთ.

— ***თქვენი დაკვირვებით გამოცდებისთვის რამდენად მომზადებულები არიან სტუდენტები?***

— სამი წელი გავიდა, რაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში საგამოცდო ცენტრი ფუნქციონირებს. პირველი გამოცდები კატასტროფა იყო, რადგან ერთი საგნიდან, რომელსაც 70 სტუდენტი აბარებდა, 40 მათგანი მოვხსენით. უმრავლესობა „შპარგალკებიდან" იწერდა. ანუ არ ჰქონდათ ის ჩვევა, რომ საკითხები თავისი ცოდნით დაეწერათ. დღეს სრულიად სხვა სიტუაციაა. იშვიათად თუ ნახავთ ისეთ სტუდენტს, რომელიც იწერდეს.

საგამოცდო ცენტრი თავის დანიშნულებას კარგად ასრულებს. მომავალში ვგეგმავთ, რომ კონტროლი ვიდეოთვალის საშუალებით დავნერგოთ, შედეგად კი სტუდენტები უფრო მობილიზებულნი და მომზადებულნი მოვლენ.

* * *

გამოცდების პროცესისას წარმოქმნილ პრობლემაზე ჩვენ რამდენიმე სტუდენტსაც გავესაუბრეთ, რომლებიც საკუთარი გამოცდილებიდან გამომდინარე სვამენ კითხვებს, რომელზე პასუხსაც საგამოცდო ცენტრის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი მაია ჩიღვინაძე სცემს.

**ანა სასატურიანი, თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტი:**

— ***ერთ დღეს და თითქმის ერთსა და იმავე დროს მქონდა ორი გამოცდა. ერთი გამოცდა 14.00 სთ-ზე მქონდა მაღლივში, ბიბლიოთეკის შენობაში, მეორე კი — 15.00 სთ-ზე თსუ-ის III კორპუსში. რამდენჯერმე მივწერე საგამოცდო ცენტრს რომელიმე გამოცდის გადატანის თხოვნით, მაგრამ არც ერთ წერილზე არ მიპასუხეს.***

მაია ჩიღვინაძე: — გამოცდების დაწყების წინ ყველა ფაკულტეტის დეკანატს ვთხოვ იმ საგნების სიას, რომლებშიც გამოცდას საგამოცდო ცენტრი ატარებს. ხოლო თავად ფაკულტეტი გამოცდებს იბარებს იმ სპეციფიკურ საგნებში, რომელთა წერითი ფორმით ჩაბარებაც არ ხდება.

ჩვენი ცხრილი თსუ-ის ვებ-გვერდზეა განთავსებული და ყველა ფაკულტეტის დეკანატებშია გამოკრული. ფაკულტეტების ადმინისტრაციებს ვთხოვე, რომ არ დაემთხვიათ მათ მიერ დანიშნული გამოცდების თარიღი და საათი ჩვენი ცხრილისთვის, რათა სტუდენტებს აღნიშნული პრობლემა არ შეჰქმნოდათ. აქვე მინდა გითხრათ, რომ ჩვენთვის გამოცდის გადადება დიდ პრობლემასთან არის დაკავშირებული.

**სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტი, (სახელი და გვარი არ დაასახელა):**

— ***20 ივნისიდან 27 ივნისის ჩათვლით ყოველ დღეს მაქვს გამოცდები და მაინტერესებს რომელი წესდებით რეგულირდება ეს, რადგან ერთმანეთის მიყოლებით გამოცდების ჩაბარება რთულია.***

მაია ჩიღვინაძე: — ერთმანეთის მიყოლებით გამოცდების ჩაბარება მართლაც რთულია. ცხრილზე მეც ვმუშაობ და ღამეები მაქვს გათენებული იმაზე ფიქრში, რომ გამოცდები ისე დავგეგმო, რომ რაიმე დამთხვევა არ მოხდეს. გაითვალისწინეთ, რომ ყველა სტუდენტს თავისი ინდივიდუალური ცხრილი აქვს შექმნილი და ძალიან ძნელია ისე შეადგინო ეს ცხრილი, რომ საგანი საგანს არ დაემთხვეს. ასევე, ძალიან ბევრი არჩევითი საგანია, რომლებიც ერთი სპეციალობის სტუდენტს სხვადასხვა მიმართულებიდან აქვს აღებული. ცხრილის შედგენისას ჯერ ვცდილობ გავმიჯნო პირველკურსელების ისეთი რთული საგნები, როგორიცაა შესავალი ფილოსოფიაში, შესავალი პოლიტიკურ მეცნიერებებში და ა.შ. მაგრამ, როცა საგამოცდო პერიოდი მხოლოდ 18 დღისგან შედგება, შეუძლებელია გამოცდა 700 საგანში დაგეგმო ისე, რომ გამოცდებს შორის იყოს ორდღიანი შუალედი. ჩვენ ვახერხებთ, რომ სტუდენტებს ერთსა და იმავე საათზე არ დავუმთხვიოთ გამოცდა, თორემ ყველა მათგანს 6 საგანში გამოცდებს ერთი ან ორი დღის შუალედით ვერ გავუმიჯნავთ. მესმის, რომ ძნელია ერთმანეთის მიყოლებით გამოცდების ჩაბარება, მაგრამ ამ სტუდენტებს მთელი წელი აქვთ იმისათვის, რომ ყველა საგანში მოემზადონ. თუმცა ემოციური თვალსაზრისით რომ რთულია, ამაში გეთანხმებით.

# ახალი სასწავლო სახელმძღვანელო „ბუნებათსარგებლობის გეოგრაფია"

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეგიდით გამოიცა ახალი სასწავლო სახელმძღვანელო — „ბუნებათსარგებლობის გეოგრაფია", რომლის ავტორები არიან პროფესორები: ზურაბ სეფერთელაძე, ეთერ დავითაია და გელა მარგველანი.*

*სახელმძღვანელო, ძირითადად, გათვალისწინებულია თსუ-ის გეოგრაფიის დეპარტამენტისა და ინტერდისციპლინური პროგრამის — „ეკოლოგია" სტუდენტებისათვის. იგი სათანადო დახმარებას გაუწევს, ასევე, გარემოსდაცვით ორგანიზაციებში დასაქმებულ პირებს, დოქტორანტებსა და საჯარო სკოლის პედაგოგებს.*




საყოველთაოდ აღიარებულია, რომ ბუნებისა და ადამიანთა საზოგადოების ურთიერთმოქმედება თანამედროვეობის ერთ-ერთი უდიდესი პრობლემაა. არადა, საზოგადოების განვითარების ამ ეტაპზე ბუნებაზე ზემოქმედება და მისი გარდაქმნა გარდაუვალია. ამ პრობლემის საბოლოო გადაჭრა თუ არა, მისი ზრდის ტენდენციის შემცირება შესაძლებელია:

ბუნებრივი და სოციალურ-ეკონომიკური გარემოს სივრცე-დროითი განვითარების, კერძოდ, ბუნებრივი კომპონენტების ძირითად კანონზომიერებათა შესწავლით;

ბუნებრივ გარემოში მიმდინარე პროცესების, ბუნებისა და ადამიანის ურთიერთდამოკიდებულების და გარემოს მდგომარეობის პროგნოზირებისა და ოპტიმიზაციის კვლევის თანამედროვე მეთოდების დაუფლებით;

ლოკალური, რეგიონული და გლობალური ბუნებათსარგებლობითი პრობლემების ანალიზითა და სინთეზით.

რაციონალური, მიზანდასახული, გონივრული ბუნებათსარგებლობით შესაძლებელია ადამიანთა საცხოვრისის ოპტიმალური მდგომარეობის შენარჩუნება, ბიომრავალფეროვნების დაცვა და ბუნებრივი ლანდშაფტების რესურსული პოტენციალის სრული გამოყენება. ბუნებათსარგებლობის საწყის ეტაპზე ხდება ბუნებრივი რესურსების გამოვლენა, მომდევნო ეტაპი მოიცავს ბუნებრივი რესურსების გამოყენებასა და გარემოს ეკოლოგიური სიტუაციის შესწავლას, ბოლო ეტაპზე კი განიხილება გარემოს მდგომარეობის შეფასებისა და პროგნოზირების საკითხი. სახელმძღვანელოში, ასევე, განხილულია გლობალურ-ეკოლოგიური პრობლემები; ბუნების დაცვის მსოფლიო სტრატეგია; გეოსისტემური მონიტორინგის გეოგრაფიული პრინციპები და სხვა. ახალ სახელმძღვანელოში, ასევე, აქცენტი კეთდება საქართველოს გეოეკოლოგიურ და ბუნებათსარგებლობის პრობლემატიკაზე, რამდენადაც ყოველივე ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დღევანდელ დღეს, როცა ესოდენ გახშირდა და გააქტიურდა, უპირველეს ყოვლისა, ადამიანის ბუნებაზე ზემოქმედებით პროვოცირებული, გეოდინამიკური პროცესები.

ამრიგად, ახალი სახელმძღვანელოს გარემოსდაცვითი და ეკოლოგიურ-საგანმანათლებლო ფუნქცია უდაოდ მნიშვნელოვანია და მის ღირებულებას კიდევ უფრო კარგად გააცნობიერებენ საგნის შესწავლით დაინტერესებული სტუდენტები.

# ბიზნეს-ოლიმპიადაში გამარჯვებული „ქართველი"

თამარ დადიანი

თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობა, სასწავლო-სამეცნიერო პროგრამები, საგნობრივი დისციპლინები და სამეცნიერო კვლევითი მუშაობა მაღალპროფესიონალი სპეციალისტების აღზრდის გარანტიას იძლევა. ასეთი ეფექტური მუშაობის ნათელი დადასტურებაა ის სამეცნიერო-სტუდენტური ღონისძიებები, კონფერენციები, ოლიმპიადები, რომლებიც ფაკულტეტზე ხშირი ინტენსივობით იმართება.

ფაკულტეტის ეფექტური მუშაობის კიდევ ერთიწინგადადგმულინაბიჯიაუპრეცედენტო მასშტაბების სტუდენტური პროექტი — „თსუ ბიზნეს-ოლიმპიადა 2011", რომელიც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის მხარდაჭერითა და ახალგაზრდა ეკონომისტთა კლუბის ორგანიზებით განხორციელდა. პროექტის უშუალო ინიციატორია სტუდენტური არასამთავრობო ორგანიზაცია „ახალგაზრდა ეკონომისტთა კლუბი". პროექტი მიზნად ისახავს სტუდენტების ჩართვას ეკონომიკის სხვადასხვა დარგის კვლევაში და ამ გზით მათი ცოდნის დონის ამაღლებას, ასევე, ნიჭიერი სტუდენტების გამოვლენასა და წახალისებას.

მსგავს პროექტებზე მუშაობა ხელს უწყობს სტუდენტთა შემეცნებითი უნარ-ჩვევების განვითარებას, ცოდნის მარაგის დამოუკიდებელ კონსტრუირებას, ინფორმაციულ სივრცეში ორიენტაციას, პროგნოზული, კრიტიკული და ანალიტიკური აზროვნების განვითარებას.

ღონისძიებაზე წარმოდგენილი სტუდენტური პროექტების ხარისხი ნათლად მეტყველებდა სტუდენტების კომპეტენტურობაზე, პრობლემების წვდომისა და დასკვნების არგუმენტირების უნარზე.

ოლიმპიადაში მონაწილეობის სურვილი გამოთქვა თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესისა ფაკულტეტის სტუდენტთა 32-მა გუნდმა. საერთო ჯამში სტუდენტთა რაოდენობამ 170-ს მიაღწია. პროექტი 3 ეტაპად განხორციელდა.

კონკურსის პირველ ტურში შერჩეულ გუნდებს დაევალათ თავიანთი არჩეული თემატიკის მიხედვით გაეკეთებინათ თემის პრეზენტაცია. პირველი ეტაპის შედეგად 14 ნახევარფინალისტი გუნდი გამოვლინდა.

პროექტის პირველ ეტაპზე მონაწილე გუნდებმა ჟიურის მათ მიერ შერჩეული თემების მიხედვით მომზადებული მოხსენებები წარუდგინეს, რის შედეგადაც მომდევნო ეტაპზე გადასული გუნდების ვინაობა დადგინდა. II ეტაპზე შერჩეულ გუნდებს დაენიშნათ კონსულტანტი და განესაზღვრათ დავალება საკვლევი თემის გარშემო. მათ უნდა წარმოედგინათ არჩეული დარგის განვითარების ისტორიული წინაპირობების, დარგის განვითარების სათანადო საგანმანათლებლო სტრუქტურების, დარგში არსებული ფირმებისა და კონკურენციის, პროდუქტზე შიდა და საექსპორტო მოთხოვნების, დარგის შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის ანალიზი, ასევე, დარგზე საგადასახადო პოლიტიკის ზეგავლენის დადებითი და უარყოფითი მხარეები.

III ეტაპზე გასულ გუნდებს კი უნდა წარმოედგინათ დარგის SWOT ანალიზი, დარგის ლასტერის აგება.

მე-10 გვერდზე

# სტუდენტების სტაჟირება დასაქმების პერსპექტივით

*„საქართველოს სტუდენტთა დასაქმების ცენტრის“ — „SEC Georgia“-ს პრეზენტაცია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 16 ივნისს გაიმართა. არასამთავრობო ორგანიზაციის დამფუძნებლები „საქართველოს სტუდენტთა დასაქმების ცენტრის“ საქმიანობას, ეტაპობრივად, ყველა უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტებს გააცნობენ. დამფუძნებლები ფიქრობენ, რომ, ორგანიზაციის წარმატებულად ფუნქციონირების შემთხვევაში, ისინი მიაღწევენ ერთ-ერთ მთავარ დასახულ მიზანს — საქართველოში კვალიფიციური კადრების ჩამოყალიბებას.*

**ნატო ოზოლაძე**

დღეს ქართველი სტუდენტებისთვის ყველაზე აქტუალური პრობლემა გახლავთ უმაღლეს სასწავლებლებში მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება, სტაჟირების გავლა და პროფესიული ზრდა. ნებისმიერი პოტენციური დამსაქმებელი ორგანიზაცია თუ დაწესებულება ახალი კადრების შერჩევისას კანდიდატებს პრაქტიკულ გამოცდილებას სთხოვს. სტუდენტები კი აცხადებენ, რომ სტაჟირების დაწყება არც თუ ისე მარტივია. სწორედ ამ პრობლემიდან გამომდინარე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებმა ლაშა მონიავამ, გეგა მელქაძემ, გივი ჭიქაძემ და თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტმა დაჩი გუბაძემ გადაწყვიტეს არასამთავრობო ორგანიზაციის „საქართველოს სტუდენტთა დასაქმების ცენტრის“ — „SEC Georgia”-ს დაარსება, რომელიც ხელს შეუწყობს სტუდენტების სტაჟირებას დასაქმების პერსპექტივით.

ორგანიზაცია კერძო და საჯარო სექტორში სტუდენტების სტაჟირებისა და პრაქტიკის გავლისთვის შესაძლებლობებს მოიძიებს და მათ სხვადასხვა ადგილებზე გადაანაწილებს. ორგანიზაციის ხელმძღვანელობა ყველა პროფესიის სტუდენტებზე იზრუნებს, თუმცა უპირატესობა იმ ახალგაზრდებს მიენიჭებათ, რომლებსაც მაღალი აკადემიური მოსწრება აქვთ და ორგანიზაციის მიერ გამართულ ტრენინგებსაც წარმატებით სძლევს. მათთვის ტრენინგებს სპეციალურად მოწვეული სპეციალისტები ჩაატარებენ, რომელთა მიზანი სტუდენტებისთვის პრაქტიკული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება იქნება.




„თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში არსებული ყველა სტუდენტური წამოწყების მხარდამჭერია. განსაკუთრებით დავეხმარებით ისეთ ორგანიზაციას, რომელიც სტუდენტების დასაქმებას შეუწყობს ხელს. მივაწვდით მათ სტუდენტების კოორდინატებს, მხარში ამოვუდგებით ფინანსურადაც. საქართველოში პირველად ყალიბდება ასეთი ორგანიზაცია და მათი საქმიანობა აუცილებლად წარმატებული იქნება. სხვადასხვა საჯარო უწყებებმა უკვე გამოყვეს ადგილები „საქართველოს სტუდენტთა დასაქმების ცენტრის“ მიერ წარმოდგენილი სტუდენტების სტაჟირებისთვის. დასაწყისი კარგია და ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები“, — განაცხადა „საქართველოს სტუდენტთა დასაქმების ცენტრის“ ერთ-ერთმა დამფუძნებელმა დაჩი გუბაძემ.

ამ დროისთვის „საქართველოს სტუდენტთა დასაქმების ცენტრმა“ სტუდენტების სტაჟირებისთვის სხვადასხვა ორგანიზაციებსა თუ დაწესებულებებში 300 ადგილი მოიძია. განსაკუთრებული დაინტერესება სტუდენტების მიღებასთან დაკავშირებით სამედიცინო სფეროდან იგრძნობა, მოთხოვნაა ქიმიისა და ფიზიკის მიმართულების სტუდენტებზეც, ასევე, მომავალ იურისტებზეც. კონკრეტულად რომელი ორგანიზაციები თუ კერძო კომპანიები გეგმავენ სტუდენტების მიღებას სტაჟირების გასავლელად დასაქმების პერსპექტივით, ამის შესახებ ინფორმაციას, ჯერჯერობით, „საქართველოს სტუდენტთა დასაქმების ცენტრი“ არ ახმაურებს.

„ჩვენი მიზანია დასაქმების და სტაჟირების შესაძლებლობა მივცეთ ბაკალავრიატის ყველა III, IV და მაგისტრატურის სტუდენტებს. ჩვენ ვხედავთ, თუ რა პრობლემის წინაშე დგანან ქართველი სტუდენტები, რომ მათ ნაკლებად აქვთ საშუალება გაიწაფონ და მიიღონ პრაქტიკული გამოცდილება, რაც ასე საჭიროა დასაქმებისათვის. ჩვენ გვესმის ყოველი სტუდენტის და ვიწყებთ სხვადასხვა სახის აქტივობებს. ჩვენი ორგანიზაცია უზრუნველყოფს, ერთი მხრივ, სტუდენტების ტრენინგს და მათი კვალიფიკაციის ამაღლებას, მეორე მხრივ, კომპანიებს დავეხმარებით — მიიღონ სწრაფი შედეგი და არ დასჭირდეთ სტუდენტების სამუშაო გარემოში ადაპტაციაზე ზედმეტი ენერგიის დახარჯვა. ჩვენი მიზანია ორგანიზაციის თანამშრომლობა საერთაშორისო კომპანიებთან, იგეგმება გაცვლითი პროგრამების ამოქმედებაც. ეს ყოველივე, ჩვენი აზრით, გაზრდის კონკურენციას და სტუდენტებს უფრო მიზანდასახულებს და შრომისმოყვარეებს გახდის“, — აღნიშნა არასამთავრობო ორგანიზაცია „საქართველოს სტუდენტთა დასაქმების ცენტრის“ ერთ-ერთმა დამფუძნებელმა ლაშა მონიავამ.

კერძო თუ საჯარო სტრუქტურებთან შუამდგომლობის პარალელურად „საქართველოს სტუდენტთა დასაქმების ცენტრი“ სტუდენტებს მიაწვდის ინფორმაციას იმის შესახებაც, თუ რომელ ორგანიზაციაში ცხადდება სტაჟირება.

არასამთავრობო ორგანიზაციის დაფუძნება დადებითად შეაფასეს სტუდენტებმაც.

„ძალიან საინტერესო პროექტია... აუცილებლად ვაპირებ დარეგისტრირებას და იგივეს ვურჩევ ყველა სტუდენტს, რადგან პრაქტიკა და სტაჟირება ჩვენთვის მნიშვნელოვანია“, — განაცხადა თსუ-ის მედიცინის ფაკულტეტის III კურსის სტუდენტმა ანანო გეგეშიძემ.

„ამ ორგანიზაციის შესახებ ახლახან გავიგე. სტუდენტებს არ აქვთ საშუალება, რომ სტაჟირება გაიარონ, არადა ყველგან ითხოვენ გამოცდილებას. მივესალმები „საქართველოს სტუდენტთა დასაქმების ცენტრის“ ამოქმედებას. ხვალვე ვაპირებ განაცხადის შეტანას“, — გვითხრა თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის III კურსის სტუდენტმა სალომე გოგოხიამ.

*ასპარეზზე*

# სიახლე „ELSA-საქართველოს“ ეგიდით

**ნატო ოზოლაძე**

„ELSA-საქართველოს“ პრეზიდენტი ირაკლი სამხარაძე ევროპის იურისტ სტუდენტთა ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტად აირჩიეს. ირაკლი სამხარაძე ერთი წლის განმავლობაში ბრიუსელში, ასოციაციის სათაო ოფისში იმოღვაწევებს. იგი სტუდენტთა გაცვლით სამუშაო პროგრამას უხელმძღვანელებს, რომლის მიზანიც ELSA-ს წევრი 43 ქვეყნის ახალგაზრდა იურისტების ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში დასაქმებაა. ამ პროცესში საქართველოც აქტიურად ჩაებმება. ევროპის იურისტ სტუდენტთა ასოციაციის გაცვლითი სამუშაო პროგრამის საშუალებით, იურიდიული ფაკულტეტის წარმატებული სტუდენტები ევროპის ქვეყნებში მოქმედ იურიდიულ კომპანიებში 2-დან 12 თვემდე დასაქმდებიან.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელიც 23 ივნისს გახდა ცნობილი, გახლავთ ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ევროპის იურისტ სტუდენტთა ასოციაციის საერთაშორისო საბჭოს კრება 2012 წლის შემოდგომაზე ქალაქ ბათუმში გაიმართება. საერთაშორისო საბჭოს კრების მასპინძლობის უფლება „ELSA-საქართველომ“ 2011 წლის აპრილში მოიპოვა. ასე რომ, ევროპის 43 ქვეყნიდან საქართველოს 500-მდე ახალგაზრდა ესტუმრება.

„ევროპის იურისტ სტუდენტთა ასოციაციის საერთაშორისო საბჭოს კრება მთლიანად ქართული სამართლებრივი გარემოს განვითარების საკითხს მიეძღვნება. ამავე ღონისძიების ფარგლებში მოხდება ჩვენი ქვეყნის კულტურული და ტურისტული გაძლიერება, რაც ჩვენს ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს. საერთაშორისო საბჭოს კრების საქართველოში გამართვა ხელს შეუწყობს ქვეყნის ინტეგრაციას საერთაშორისო სივრცეში და, ამ შემთხვევაში, ევროპაში, ამიტომ მზად ვართ, რომ ჩვენი საქმიანობა უფრო გავაძლიეროთ და გავაფართოოთ. ვპირდები ქართველ სტუდენტებს, რომ წელს ძალიან ბევრი სტუდენტი ჩაერთვება „ELSA“-ს გაცვლით სამუშაო პროგრამაში“, — განაცხადა ირაკლი სამხარაძემ.

„ELSA-საქართველომ“ საერთაშორისო დონეზე მიღწეული წარმატებების საზოგადოებისთვის გასაცნობად და 2 წლიანი მოღვაწეობის პრეზენტაციისთვის 23 ივნისს სასტუმრო „ჰოლიდეი ინ“-ში ღონისძიება გამართა, რომელსაც საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრის პირველი მოადგილე გიორგი ავალიანი, საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე ზაზა მეიშვილი, თბილისის მთავარი პროკურორის პირველი მოადგილე დავით საყვარელიძე და საქართველოში გერმანიის საელჩოს პირველი მდივანი ქრისტიან პლატე ესწრებოდნენ. „ELSA“-ს ვიცე-პრეზიდენტმა ირაკლი სამხარაძემ მათ ასოციაციის განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის საპატიო წევრობის სტატუსი მიანიჭა. თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტს დაჩი გუბაძეს კი „ELSA-საქართველოსთვის“ გაწეული დახმარებისათვის ასოციაციის მეგობრის სიგელი გადასცეს. მოწვეულმა სტუმრებმა ერთხმად აღნიშნეს, რომ ქართველი ახალგაზრდების ევროპულ სივრცეში ინტეგრაციის პროცესში „ELSA-საქართველომ“ განსაკუთრებული როლი ითამაშა.



„მნიშვნელოვანია „ELSA-საქართველოს“ მხარდაჭერა, რადგან საერთაშორისო არენაზე ეს ორგანიზაცია ჩვენს ქვეყანას წარმოადგენს. ჩვენ მხარს ვუჭერთ მას ფინანსური თვალსაზრისით და მომავალშიც დავეხმარებით“, — განაცხადა სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრის პირველმა მოადგილემ გიორგი ავალიანმა.

„ჩემთვის ნამდვილად საპატიოა მიღებული ჯილდო, რადგან ამ ასოციაციის თითოეული წევრი ახალი ქართული სახელმწიფოს ნამდვილი სახეა. მიხარია, რომ „ELSA-საქართველოს“ წევრებმა მსოფლიოს გააცნეს საქართველო, როგორც ევროპის გული და ევროპის უძველესი სახელმწიფო. ვერც ერთი ახლად აშენებული გზა, შენობა თუ კურორტი ვერ შეედრება იმ მენტალურ, ცნობიერების ცვლილებას, რასაც „ELSA-საქართველოს“ წევრებში ვხედავთ“, — განაცხადა თბილისის მთავარი პროკურორის პირველმა მოადგილემ დავით საყვარელიძემ.

საქართველო „ევროპის იურისტ სტუდენტთა ასოციაციის" წევრი 2008 წელს გახდა. მას შემდეგ ქართულმა მხარემ ბევრი მნიშვნელოვანი ღონისძიება გამართა, მათ შორის, ასოციაციის საერთაშორისო პრეზიდენტების სამიტი, რომელიც თბილისში 2011 წლის თებერვალში გაიმართა. „ELSA-საქართველომ“ დაარსებიდან დღემდე 50 მნიშვნელოვანი პროექტი განახორციელა საქართველოს მასშტაბით და მასში 700-მდე სტუდენტი მონაწილეობდა. განსაკუთრებული წარმატებით კი „იმიტირებული სასამართლო პროცესების“ ჩემპიონატი და „ნაფიცი მსაჯული 3“ გამოირჩეოდა. ასოციაციის ორგანიზებით დაიწყო სამართლებრივი ჟურნალის — „სარჩევის“ გამოცემაც, რომელშიც სტუდენტებს საკუთარი ნაშრომების გამოქვეყნება შეუძლიათ. ამჟამად კი „ELSA-საქართველო“ ახალ პროექტს — „სამართლის სკოლას“ ახორციელებს. ზაფხულში იგეგმება ესეების კონკურსის ჩატარებაც. როგორც თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის დეკანმა, ასოციაციის საპატიო წევრმა ირაკლი ბურდულმა განაცხადა, „ELSA-საქართველოს“ იურიდიული განათლების განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს და ხელს უწყობს სტუდენტთა სწორი, ლოგიკური და სახელმწიფოებრივი აზროვნების უნარის ჩამოყალიბებას.



International Year of
CHEMISTRY
2011

# ქიმიის სამყარო

## ერთად ვიზეიმოთ ქიმიის საერთაშორისო წელი



წელს გაეროს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაცია (UNESCO) ქიმიის საერთაშორისო წელს აღნიშნავს (www.chemistry2011.org). ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი უერთდება ამ ინიციატივას. ჩვენი მიზანია ქიმიის, როგორც მეცნიერების, პოპულარიზაცია და ამ დისციპლინის მიმართ ახალგაზრდებში ინტერესის ზრდა.

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მიმართ მომავალ სტუდენტებში ინტერესის გაღვიძების მიზნით 21 ივნისიდან 1 ივლისამდე უკვე მესამე საზაფხულო სამეცნიერო აკადემიამ დაიწყო მუშაობა. ქიმიის საერთაშორისო წლის აღსანიშნავად საზაფხულო სამეცნიერო აკადემია სწორედ ქიმიის მიმართულებით გაძლიერდა. განსაკუთრებულად წარმოჩინდა შემდეგი ოთხი სფერო: გარემო, ენერგეტიკა, მასალები და ჯანმრთელობა. ასევე ჩატარდა CERN-ის (ატომური კვლევების ევროპული ორგანიზაცია) მეცნიერებთან და პროექტის "Promotion of biodiversity through restoration of quarries" (ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება კარიერების აღდგენის გზით; Heidelberg Cement PLC and German International Cooperation (GIZ) წარმომადგენლებთან ერთდღიანი შეხვედრა. IYC გლობალური წყლის ექსპერიმენტების ფარგლებში სხვადასხვა რეგიონის მოსწავლეებმა ჩაატარეს წყლების ანალიზი. დაგეგმილია გაზეთის „ქიმიის სამყარო" რამდენიმე ნომრის, თსუ-ის გაზეთში ჩანართის სახით, გამოცემა, რომელშიც ქიმიკოსები სხვადასხვა თემებს გააშუქებენ. შემოდგომაზე კი სკოლის მოსწავლეებისათვის, სტუდენტებისა და მეცნიერთათვის ქიმიის მიმართულებით ქიმიის წლისადმი მიძღვნილი რამდენიმე საერთაშორისო თუ ადგილობრივი კონფერენცია და სიმპოზიუმი გაიმართება.

**ხათუნა კახიანი**
***ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევების სამსახურის უფროსი სპეციალისტი, დოქტორი***

## შესაძლებელია თუ არა ეკოლოგიური საფრთხეების პროგნოზირება და თავიდან აცილება?

ახალი პროგრამა უნივერსიტეტში
NOUVEAU PROGRAMME À L'UNIVERSITÉ
ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი პირველკურსელ სტუდენტებს სთავაზობს
***საბაკალავრო პროგრამას***
ეკოლოგია



A la faculté des sciences exactes et naturelles, l'Université d'état Ivané Djavakhichvili de Tbilissi propose à ses étudiants le programme de
licence ECOLOGIE
http://www.tsu.ge/geo/bachprograms1.asp

მთელი მსოფლიოს მსგავსად, საქართველოც დგას ეკოლოგიური საფრთხეების წინაშე. ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისათვის საჭირო პროექტები, რაც უკავშირდება ნავთობსადენებსა და გაზსადენებს, წყლის რესურსების არასწორი სარგებლობით გამოწვეულ საფრთხეებს და მრავალ სხვა პრობლემას, მნიშვნელოვანი ეკოლოგიური რისკის მქონეა ჩვენი ბუნებისთვის.

უდავოა, რომ თანამედროვე საქართველოში უნდა მოქმედებდეს ბუნებრივი რესურსებით სწორი და მაქსიმალურად უსაფრთხო სარგებლობის წესი, გამართულად მუშაობდეს მონიტორინგის სრულყოფილი სისტემა, შესაძლებელი უნდა იყოს მოსალოდნელი ეკოლოგიური საფრთხეების პროგნოზირება და თავიდან აცილება.

### რაში მდგომარეობს საქართველოს ეკოქიმიური პრობლემები?

***გურამ სუპატაშვილი, ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი:***

— გარემოს ანთროპოგენური დაბინძურების გლობალური პრობლემები მეტ-ნაკლები სიმწვავით აისახება ჩვენს რეალობაზეც. საქართველოში გარემოს დაბინძურების წყაროებიდან და ეკოლოგიურად „ცხელი" წერტილებიდან აღსანიშნავია:

• ავტოტრანსპორტი, რომლის რაოდენობა სწრაფი ტემპით იზრდება უცხოეთიდან შემოდინებული ამორტიზებული და გაუმართავი სატრანსპორტო საშუალებების ხარჯზე. მეტ ყურადღებას მოითხოვს ამ სფეროში გამოყენებული საწვავის ხარისხიც.

• პრაქტიკულად ეკოქიმიური კონტროლის გარეშეა დარჩენილი საკვები პროდუქტები. ამიტომ მათი ფალსიფიცირების მასშტაბები საგანგაშოა.

• მიუხედავად იმისა, რომ ცნობილი მიზეზების გამო ეკოქიმიური ვითარება საქართველოში რამდენადმე გაუმჯობესდა, მაინც რთული ვითარებაა შექმნილი თბილისი-რუსთავის ზონაში. მძიმე ტექნოლოგიური პრესის ქვეშ იმყოფება ბოლნისის რაიონი. ურთულეს პრობლემად რჩება ათი ათასობით ტონა დარიშხან შემცველი ნარჩენები რაჭაში და ქვემო სვანეთში.

• არსებული ეკოლოგიური პრობლემების მოგვარების სირთულის გარდა, საჭირო ფინანსებთან ერთად, რჩება კვალიფიციური კადრების დეფიციტი და ამ სფეროში დილეტანტი „სპეციალისტების" მოზღვავება.

### ეკოლოგების მომზადების სპეციალური პროგრამა

***ვაჟა ცხოვრებაშვილი, ეკოლოგიის პროგრამის კოორდინატორი, თსუ-ის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვისა და სამეცნიერო კვლევების სამსახურის უფროსი:***

— თსუ-ის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტს გააჩნია სათანადო კვალიფიკაცია, ტრადიციები და რესურსები დიპლომირებული სპეციალისტების მომზადებისათვის ეკოლოგიის დარგში. ამ კონტექსტში ფაკულტეტის ინტერდისციპლინარულმა საინიციატივო ჯგუფმა, რომელიც დაკომპლექტებულია უნივერსიტეტის სპეციალისტებით, ჩაატარა კონკრეტული სამუშაო. კერძოდ, განაახლა კონტაქტები როგორც საქართველოში და კავკასიაში, ასევე, უცხოეთის უნივერსიტეტებში აღნიშნულ დარგში მომუშავე სპეციალისტებთან. იგეგმება უცხოელი პროფესორების მოწვევა ლექციების წასაკითხად, შორს მანძილზე სწავლება და სტუდენტთა გაცვლა და სხვ.



ნანტის (საფრანგეთი) უნივერსიტეტთან მომზადებულია ხელშეკრულება თანამშრომლობის შესახებ. ეს დოკუმენტი სხვა დარგებთან ერთად ითვალისწინებს სტუდენტთა მომზადებას ეკოლოგიის სპეციალობით, ორი ქვეყნის დიპლომების მომზადების გათვალისწინებით. პროექტის მხარდამჭერია ქალაქ თბილისის მერია, კერძოდ, ეს პროექტი შედის დაძმობილებული ქალაქების თანამშრომლობის სამწლიან პროგრამაში. პროექტის მხარდამჭერთა რიცხვშია საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო და საფრანგეთის საელჩო საქართველოში.

საბაკალავრო პროგრამის – „ეკოლოგია" გავლის შემდეგ ბაკალავრს მიეცემა საფუძვლიანი განათლება როგორც ეკოლოგიის დარგში, ისე საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში. ბაკალავრიატის მაღალ კურსებზე სტუდენტს საშუალება ექნება გაიღრმავოს ცოდნა მისთვის სასურველი რომელიმე განხრით (ბიოეკოლოგია, გეოეკოლოგია, ქიმიური ეკოლოგია და ფიზიკური ეკოლოგია) და, ასევე, მომიჯნავე დარგებში. სტუდენტს შეეძლება სწავლის გაგრძელება მაგისტრატურაში ეკოლოგიის ან მომიჯნავე დარგებში.

# „საქართველოს კონსული“ ოდესის უნივერსიტეტიდან

*„ვინც თავის ეპოქას დიდ სამსახურს გაუწევს,*
*მისი გენიის შორეული გამოსხივება სხვა*
*ეპოქებსაც გადასწვდება უთუოდ“.*
***კ. გამსახურდია***



*როდესაც დიმიტრი მენდელეევს ჰკითხეს, თუ ვინ მიაჩნდა ახალგაზრდა ქიმიკოსთა შორის ყველაზე ნიჭიერ და პერსპექტიულ მეცნიერად, მან ვასილ პეტრიაშვილი დაასახელა.*

*ვასილ პეტრიაშვილს სამეცნიერო ასპარეზზე გამოსვლა მაშინ მოუხდა, როდესაც ორგანული ქიმია, როგორც მეცნიერება, ახალფეხადგმული გახლდათ, ხოლო ფიზიკური ქიმია ის-ის იყო ყალიბდებოდა. ამ ორივე დარგის განვითარებას ვასილ პეტრიაშვილმა დიდი ღვაწლი დასდო.*

ვასილ პეტრიაშვილი დაიბადა 1842 წელს ისტორიული კრწანისის ველის სამხრეთით მდებარე სოფელ წალასყურში, მღვდლის ოჯახში. თბილისის სასულიერო სემინარიის დამთავრებისთანავე სწავლა განაგრძო ოდესაში, ნოვოროსიის უნივერსიტეტში, იურიდიულ ფაკულტეტზე, მაგრამ მალე გადავიდა ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე, სადაც იგი ქიმიამ გაიტაცა.

ოდესის უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ვასილ პეტრიაშვილი დატოვეს ტექნიკური ქიმიის კათედრაზე. 1874 წელს აირჩიეს დოცენტად, ხოლო 1879 წელს – პროფესორად. იგი მუშაობდა მსოფლიოს უდიდეს მეცნიერებთან, ორგანული ქიმიის ფუძემდებლებთან — კეკულესთან (ბონი, 1873 წ.), ბერთლოსთან და ვიურცთან (პარიზი, 1878-1881 წწ.).

1905-1907 წლებში იყო ოდესის უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის დეკანი, ამასთან, წლების განმავლობაში ასრულებდა რექტორის მოვალეობას და ამ თანამდებობაზე 1908 წელს უკვე ოფიციალურად აირჩიეს.

ვასილ პეტრიაშვილის პირველი გამოკვლევები ეხება აზონაერთების მიღებას, რასაც არა მარტო თეორიული, არამედ დიდი პრაქტიკული მნიშვნელობაც ჰქონდა — აზონაერთები ხომ საფუძვლად უდევს საღებავების წარმოებას.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში, როდესაც ორგანული ქიმიის მეცნიერული საფუძვლები ყალიბდებოდა, ძირითად პრობლემას წარმოადგენდა მოლეკულაში ატომთა ურთიერთგანლაგების დადგენა. გამოჩენილი გერმანელი ქიმიკოსის ა. კეკულეს უდიდესი ავტორიტეტის წყალობით დამკვიდრებული იყო აზრი, რომ ერთ ნახშირბადთან შეუძლებელია შეერთებული იყოს ორი ჰიდროქსილი. ვასილ პეტრიაშვილმა ექსპერიმენტულად დაამტკიცა, რომ კეკულეს მოსაზრება მცდარია და რომ ნახშირბადის ერთ ატომთან შეიძლება შეერთებული იყოს ჰიდროქსილის ორი ჯგუფი.

ვასილ პეტრიაშვილმა დაადგინა ფუმარისა და მალეინის მჟავათა, ასევე, მალონმჟავას წარმოებულებისა და სხვა ნაერთთა აღნაგობა და დაამუშავა მათი მიღების მეთოდები. მის გამოკვლევებთან მჭიდროდ იყო დაკავშირებული მისი უმცროსი მეგობრის, ოდესის უნივერსიტეტის პროფესორის, შემდგომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი რექტორის პეტრე მელიქიშვილის მეცნიერული მოღვაწეობა.

ვასილ პეტრიაშვილმა გამოიკვლია ორგანული ქიმიის სხვა საკვანძო საკითხებიც — დაადგინა დაჟანგვის რეაქციებში მჟავების ხასიათსა და ჟანგვის პროდუქტებს შორის დამოკიდებულება.

ვასილ პეტრიაშვილმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ფიზიკური ქიმიის განვითარებაშიც. მან შეაგროვა დიდძალი ექსპერიმენტული მასალა, რომელთა მეშვეობით დაამტკიცა მოქმედ მასათა კანონი. მან ცხადყო, რომ ქიმიური რეაქციის სიჩქარე დამოკიდებულია ნივთიერებათა კონცენტრაციაზე და რომ რეაქციის სიჩქარე კლებულობს მორეაგირე ნივთიერებათა განზავებისა და დროის მიხედვით.

აღსანიშნავია ვასილ პეტრიაშვილის შრომები არაორგანულ ქიმიაში. მან დაამტკიცა, რომ სხვადასხვა მეტალთა მარილებზე ოქსიდების ზემოქმედება დამოკიდებულია მეტალთა ატომწონის სიდიდეზე: „რაც უფრო მეტია ჟანგეულის მეტალის ატომური წონა, მით უფრო ნაკლებად გამოაძევებს იგი მეტალს აზოტმჟავა მარილიდან“ — ვასილ პეტრიაშვილის მიერ ჩამოყალიბებულმა ამ წესმა დაადასტურა დ. მენდელეევის ელემენტთა პერიოდულობის კანონი.

ვასილ პეტრიაშვილმა ქიმია, როგორც ფუნდამენტური მეცნიერება, მჭიდროდ დაუკავშირა პრაქტიკულ ინტერესებს. იგი იკვლევდა აგროტექნიკის, აგროქიმიის, მელიორაციის, ნიადაგმცოდნეობის, გეოლოგიის, მეღვინეობის, მერძევეობის, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის რაციონალურად გადამუშავების ტექნოლოგიის საკითხებს. 1901 წელს პარიზში დაარსდა მევენახეობა-მეღვინეობის საერთაშორისო კომისია, რომლის წევრები იყვნენ ვასილ პეტრიაშვილი და პეტრე მელიქიშვილი.

ვასილ პეტრიაშვილი ოდესის უნივერსიტეტში კითხულობდა ტექნიკური ქიმიისა და ანალიზური ქიმიის კურსებს. მისი შესანიშნავი ლექციები იმითაც გამოირჩეოდა, რომ მათ თან ახლდა სანიმუშოდ დაყენებული პრაქტიკული მეცადინეობა მრავალრიცხოვანი ცდებით. გამოჩენილი მეცნიერი, აკადემიკოსი ნ. ზელინსკი (რომლის სახელსაც ატარებს ორგანული ქიმიის ინსტიტუტი მოსკოვში) იგონებს: „მახსოვს, უფროსკურსელი სტუდენტები რა სიხარულით, რა სიამაყით შედიოდნენ რთულ ანალიზებზე სამუშაოდ პროფ. ვ. პეტრიაშვილის ლაბორატორიაში, რომელიც საუკეთესოდ იყო მოწყობილი მისი დიდი შრომისა და მეცადინეობის წყალობით... იგი ვიწრო სპეციალისტი კი არ იყო, არამედ ფართოდ განათლებული ქიმიკოსი, რაც აშკარად დაეტყო მის მუშაობას ორგანულ, არაორგანულ და ფიზიკურ ქიმიაში. რაც მან ამ დარგებში გააკეთა და აღმოაჩინა, კარგა ხანია შევიდა სახელმძღვანელოებში... მე ბედნიერი ვარ, რომ წილად მხვდა არა მარტო მისი მოწაფეობა, არამედ მეგობრობა მთელი 20 წლის განმავლობაში“.

მეცნიერი სავალდებულოდ მიიჩნევდა, რომ უნივერსიტეტის კურსდამთავრებულს ჰქონოდა არა მარტო სპეციალური ცოდნა, არამედ საკმაო ზოგადი განათლება, მაღალი კულტურული დონე. იგი სისტემატურად აწყობდა ექსკურსიებს რუსეთის ქარხნებსა და საწარმოებში, ხშირად ჩამოჰყავდა სტუდენტები საქართველოშიც. მათ სოხუმსა და ბათუმში აცნობდა ციტრუსებისა და ზეთისხილის პლანტაციებს, ბოტანიკურ ბაღებს, ზესტაფონის მახლობლად მდებარე სოფელ საქარაში გაშენებულ ამერიკული ვაზის სანერგეს, ტყვარჩელის ქვანახშირის საბადოებს, ფოთის ნავსადგურის მშენებლობას, სადაც განმარტებას იძლეოდა ქალაქის თავი, დიდი ქართველი მწერალი-მოაზროვნე და საზოგადო მოღვაწე ნიკო ნიკოლაძე.

ვასილ პეტრიაშვილი თავისებური გამომცდელი იყო. სტუდენტებმა ბილეთის ნომერი წინასწარ იცოდნენ. რომ ჰკითხეს, თუ რატომ ატარებდა ასე ლმობიერად გამოცდებს, მან უპასუხა: როცა გამოცდა ჩვეულებრივ ტარდება, სტუდენტი მხოლოდ მეხსიერების ძალას ამჟღავნებსო, ჩვენთვის კი მნიშვნელობა აქვს სტუდენტის არა მეხსიერებას, არამედ მის აზროვნებასო... ერთი ბილეთის პასუხის მიხედვით შეიძლება პროფესორმა სტუდენტის მომზადება შეაფასოს, მით უმეტეს, თუ ამ ბილეთის საკითხები სხვა საკითხებთან დაკავშირებული არისო. ამასთან, თურმე იგი გამოცდაზე არ უშვებდა სტუდენტს, რომელიც ლექციაზე არ დადიოდა, პრაქტიკულ სამუშაოებს არ ასრულებდა და ექსკურსიებში არ მონაწილეობდა.

მას განსაკუთრებით აწუხებდა გლეხკაცობის ბედი და საქართველოს სოფლის მეურნეობის დაბალი დონე. იგი სვამს კითხვას: რა არის იმის მიზეზი, რომ ჩვენ ესოდენ ღარიბ-ღატაკნი ვართ? და ამ კითხვას თვითონვე უპასუხებს: ამის მთავარი მიზეზია სიბნელე, სიბეცე, სათანადო ცოდნის უქონლობაო. ვასილ პეტრიაშვილი ქვეყნის ეკონომიკური პროგრესის მთავარ მამოძრავებელ ძალად საბუნებისმეტყველო მეცნიერებებს მიიჩნევდა. მისი ღრმა რწმენით, ჩვენს სამშობლოს ქიმიკოსები, აგრონომები და სხვა ასეთი სპეციალისტები უფრო სჭირდებოდა, ვიდრე, მაგალითად, იურისტები, რომლებიც შედარებით უფრო მეტნი იყვნენ უნივერსიტეტის კურსდამთავრებულ ქართველთა შორის.

ვასილ პეტრიაშვილი მწვავედ განიცდიდა, რომ ქართველი გლეხი „ჩასციებია თარგამოსის მიერ გამოგონილ გუთანს და იმისგანვე მოგონილ იარაღს, რვა უღელი ხარ-კამეჩით მიწას ხნავს და წელში მოხრილი ყანასა მკის“. მისი აზრით, საქართველოს სოფლის მეურნეობის გადარჩენა შესაძლებელი იყო ძველთაძველ სახნისზე ხელის აღებით და მეცნიერული აგროკულტურული ღონისძიებების შედეგად სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა და სასუქების გამოყენებით, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების უფრო რაციონალურად გადამუშავებით. გლეხს რომ შესძლებოდა სოფლის მეურნეობის ახლებურად, კულტურულად გაძღოლა, საჭირო იყო მანქანა-იარაღები, რომელთა შესაძენი ფული გლეხს თავად არ მოეპოვებოდა, ამიტომ ვასილ პეტრიაშვილი ქადაგებდა „კოოპერაციული ასოციაციის“ (ამხანაგობების) დაარსებას.

ვასილ პეტრიაშვილი ქვეყნის ფეხზე დაყენებისათვის საჭიროდ მიიჩნევდა ხალხში ცოდნის ფართოდ გავრცელებას. ამ მიზნით იგი ქართულ პრესაში („დროება“, „მოამბე“, „მეურნე“) საკმაოდ ხშირად აქვეყნებდა პუბლიცისტურ წერილებს პოლიტიკურ, სოციალურ, ეკონომიკურ, სოფლის მეურნეობის საკითხებზე; აქვეყნებდა ბელეტრისტულ ნაწარმოებებსაც, ეწეოდა მეცნიერების პოპულარიზაციას.

ვასილ პეტრიაშვილი თავის სტატიებში მწვავედ ილაშქრებდა რუსეთის კოლონიზატორული პოლიტიკის წინააღმდეგ. იგი სასტიკად გმობდა გამარუსებელ პოლიტიკას, რომელსაც ასე უხეშად ატარებდნენ საქართველოში მეფის რუსეთის მოხელეები. ქართულ ენაზე მან შექმნა სოლიდური სახელმძღვანელოები „ღვინის დაყენება“ (1894 წ.), „რძე და მისი სხვადასხვაგვარად გამოყენება“ (1895 წ.), „ძმრის წარმოება“ (1905 წ.), რომლებშიც განაზოგადა ჩვენი ხალხის უმდიდრესი გამოცდილება. სამეცნიერო-პრაქტიკულ სახელმძღვანელოში „ღვინის წარმოება“ (1895 წ.) განხილულია ღვინის წარმოების ტექნოლოგიური თავისებურებანი და დამუშავებულია მევენახეობისა და მეღვინეობის დარგის ქართული მეცნიერული ტერმინოლოგია.

ცალკე აღნიშვნის ღირსია ის ფაქტი, რომ ვასილ პეტრიაშვილმა პეტრე მელიქიშვილთან ერთად დიდი წვლილი შეიტანა საქართველოს მეღვინეობის აღორძინებაში.

ვასილ პეტრიაშვილმა სპეციალური ნაშრომი მიუძღვნა ქვევრში ღვინის დაყენებას და ამ პროცესის გაუმჯობესებას. მისი რეკომენდაციით, ქვევრი, ისევე როგორც სხვა ჭურჭელი, ჰერმეტულად უნდა იყოს დახურული და დუღილის განმავლობაში ჭაჭა და ტკბილი ერთმანეთში კარგად უნდა ავურიოთ; ქვევრი სადუღებელ ჭურჭლად სავსებით დამაკმაყოფილებელია, მაგრამ, ღვინის შესანახად რომ ივარგოს, ამისათვის აუცილებელია მის კონსტრუქციაში მცირეოდენ ცვლილებათა შეტანა. ვასილ პეტრიაშვილმა საფუძვლიანად გამოიკვლია ღვინის პასტერიზაციის სიკეთე განსაკუთრებით იმერული და ზემოქართლის ღვინოებისა, რომლებიც ალკოჰოლს მცირე ოდენობით შეიცავენ.

ვასილ პეტრიაშვილი მნიშვნელოვანი შრომების ავტორია მევენახეობის დარგშიც. მან გამოიკვლია შემდეგი საკითხები: ფოთლების მოშორების გავლენა ყურძნის დამწიფებაზე, ნიადაგის გამანაყოფიერებელ ნივთიერებათა მნიშვნელობა ვენახისათვის, ვენახის გაპატივება, ვაზის მოშენება და მოვლა.

მეცნიერის მრავალი ნაშრომის ხელნაწერი, მათ შორის, ქიმიის ქართული სახელმძღვანელო და ვრცელი გამოკვლევა საქართველოს ბუნებრივ სიმდიდრეთა შესახებ, სამწუხაროდ, უკვალოდ დაიკარგა მისი გარდაცვალების შემდეგ. მათგან გადარჩა მხოლოდ იმ ორად-ორი ნაშრომის ხელნაწერი, რომლებშიც გაანალიზებულია წყალტუბოს თერმული წყლები და ახტალის სამკურნალო ტალახი (ორივე მათგანი მოგვიანებით პეტრე მელიქიშვილმა გამოაქვეყნა).

ვასილ პეტრიაშვილი დიდად პოპულარული პიროვნება გახლდათ საქართველოში. საიდან არ მიმართავდნენ მას თხოვნით დახმარებისათვის — უგზავნიდნენ მინერალებსა და მინერალურ წყლებს ანალიზისათვის, დასკვნებისათვის. იგი გულმხურვალედ ეხმაურებოდა ყოველ სერიოზულ წამოწყებას, რომელსაც შეეძლო საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება. ვ. პეტრიაშვილი და პ. მელიქიშვილი აღფრთოვანებით მიესალმნენ სასოფლო-სამეურნეო სკოლის გახსნას წინამძღვრიანთკარში. ვასილ პეტრიაშვილი სისტემატურ კონსულტაციებს უწევდა ნიკო ნიკოლაძეს სოფელ ჯიხაიშში, ხოლო თავის ყოფილ მოწაფეს კონსტანტინე ამირეჯიბს სოფელ ავლევში სანიმუშო მეურნეობების მოწყობის მხრივ.

ვასილ პეტრიაშვილს იმდენად უყვარდა თავისი მშობლიური ქვეყანა, რომ მსოფლიოში სახელგანთქმული მეცნიერი, ოდესაში საყოველთაო პატივისცემით გარემოცული და კარგ მატერიალურ მდგომარეობაში მყოფი, იგი თანახმა იყო დაეკმაყოფილებინა ჭიათურის შავი ქვის მრეწველთა საბჭოს თხოვნა და ეხელმძღვანელა სპეციალური ლაბორატორიისათვის, შეუდგა კიდევაც მის დაპროექტებას. იგი თანახმა იყო სათავეში ჩასდგომოდა სოფელ ოძისში სასოფლო-სამეურნეო სკოლას, რათა თავისი ცოდნა და გამოცდილება მშობელი ერისათვის მიეშველებინა.

ვასილ პეტრიაშვილს მიზნად ჰქონდა დასახული საქართველოში საფუძველი ჩაეყარა სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებისათვის, რომელიც შეისწავლიდა აქაურ ნიადაგებს, ბუნებრივ სიმდიდრეებს და შეიმუშავებდა მათი გამოყენების რაციონალურ რეკომენდაციებს. იგი ოცნებობდა იმ დღეზე, როცა მის ქვეყანას საკუთარი უმაღლესი სასწავლებელი, საკუთარი უნივერსიტეტი ექნებოდა და როდესაც რუსეთის სხვადასხვა სამეცნიერო ცენტრებში გაფანტული ქართველი მეცნიერები თავს მოიყრიდნენ მშობლიურ უნივერსიტეტში.

ვასილ პეტრიაშვილის სტუმართმოყვარე ოჯახში ხშირად იკრიბებოდა არა მარტო ოდესელი ქართველობა, არამედ ოდესის მთელი რჩეული საზოგადოება. აქ პოულობდა ბინას ყველა ქართველი, ვინც გავლით ან მივლინებით მოხვდებოდა ოდესაში. ვასილ პეტრიაშვილი და მისი მეუღლე — ეკატერინე თავდგირიძე დიდი მზრუნველობით ეპყრობოდნენ ქართველ სტუდენტობას. მათ მიერ გამართულ წვეულება-საღამოებზე, ოდესის უნივერსიტეტის პროფესორებთან და მათი ოჯახის წევრებთან ერთად, ქართველ სტუდენტებსაც ნახავდით, რომელთათვის ეს დიდი სკოლა იყო: აქ ეზიარებოდნენ ისინი ბევრ სიახლეს მეცნიერებაში, ლიტერატურაში, პოლიტიკაში... ხოლო იმ ქართველ სტუდენტებს, რომლებიც პარიზში აპირებდნენ გამგზავრებას, ქალბატონი ეკატერინე ფრანგულ ენაში ამეცადინებდა. გაზეთი „ოდესსკოე ობოზრენიე“ წერდა, რომ ვასილ პეტრიაშვილს ქართველებზე მუდმივი მზრუნველობისათვის საქართველოს კონსულს ეძახდნენ.

მე-7 გვერდზე


ქართველთა ამხანაგობის გამოცემა, № 26.

ღვინის დაყენება

შედგენილი

პროფესორის ვ. პეტრიაშვილის მიერ.

ტფილისი
1895

# „საქართველოს კონსული“ ოდესის უნივერსიტეტიდან

**მეექვსე გვერდიდან**

ვასილ პეტრიაშვილს ხშირად სტუმრობდა აკაკი წერეთელი ოდესაში, რომელსაც პოეტმა „ზღვისგაღმა პატარა საქართველო“ უწოდა.

იმ დიდ მეცნიერულ და პედაგოგიურ მოღვაწეობასთან ერთად, რასაც ემატებოდა გულისხმიერი ორგანიზატორული მუშაობა ოდესის უნივერსიტეტის კედლებში, ვასილ პეტრიაშვილი ახერხებდა საზოგადოებრივი საქმიანობისთვისაც გამოენახა დრო. იგი იყო ქალთა განათლების თავგამოდებული ქომაგი; ოდესის ჟურნალ „Вестник виноделия“-ს სარედაქციო კოლეგიის წევრი; მუშაობდა ოდესის საქალაქო ლაბორატორიის დირექტორად, სადაც დიდ ყურადღებას უთმობდა კვების პროდუქტთა ფალსიფიცირებასთან ბრძოლას. ვასილ პეტრიაშვილმა ამ პერიოდში დაამუშავა სათანადო კანონპროექტი, რომელიც დღესაც დიდად გამოადგებოდა მის მშობელ ქვეყანას...

ვასილ პეტრიაშვილი გარდაიცვალა კარლსბადში (ახლანდელი კარლოვი-ვარი) 1908 წელს ფილტვების ანთებით, როდესაც ეს „კავკასიელი გოლიათი“, როგორც მას მისი სტუდენტები უწოდებდნენ, ჯერ კიდევ ჯან-ღონით აღსავსე იყო და ინტენსიურად იღვწოდა.

ქართველმა საზოგადოებრიობამ მწარედ დაიტირა ეს „ჩუმი მოღვაწე, ნამდვილი ქართველი“ (აკაკი), რომელმაც მთელი თავისი ცხოვრებით ერისა და ქვეყნის წინაშე უანგარო და თავგამოდებული სამსახურის მაგალითი დაგვიტოვა.

## მოგონებათა კრებული

გაჭირვებულის დახმარება იყო ვასილ პეტრიაშვილის ცხოვრების კრედო. ეხმარებოდა ყველას — ხელქვეითს, სტუდენტს თუ თანამდებობის პირს, ეხმარებოდა მატერიალურად, წიგნებით, თავისი ცოდნით. ვასილ პეტრიაშვილის, როგორც დიდი პიროვნების, დასახასიათებლად საკმარისია მოვიყვანოთ ერთი მაგალითი. მას საკმაოდ მაღალი ხელფასი ჰქონდა, რომლის დიდი ნაწილი სხვების დასახმარებლად იხარჯებოდა. ერთხელ, როცა ტანსაცმელი შემოაცვდა, მეგობრებმა ურჩიეს, შარვალი ეყიდა. იგიც დათანხმდა და შარვლის საყიდლად წავიდა. მეორე დღეს, როცა მეგობარი შინ ეწვია, ნახა, რომ იგი ძველ შარვალს აკერებდა. „ახალი შარვალი სადღაა?“ – იკითხა მეგობარმა. „გუშინ“ საყიდლად რომ წავედი, ღარიბი სტუდენტი შემხვდა, ძალზე გაჭირვებული იყო და მთელი თანხა, რაც კი მქონდა, მას მივეცი“, — მიუგო მან.

ვასილ პეტრიაშვილი იდეალური რექტორი იყო, ძალიან სათნო, თავმდაბალი და თავაზიანი. ვასილ პეტრიაშვილს შვილი არ ჰყავდა და მშობლიური სიყვარული სტუდენტებზე ჰქონდა გადატანილი. ამიტომაც შეარქვევს მას „მამა-რექტორი“, „მამა-მწყალობელი“. იმდენად ზრუნავდა სტუდენტებზე, რომ მასთან სახლშიც კი მიდიოდნენ დასახმარებლად თუ სანუგეშოდ. რექტორიც რომ გახდა, სტუდენტებთან ისე ახლოს იყო, რომ ისინი განცხადებებს ქუჩაშიც კი გადასცემდნენ.

აი, როგორ ახასიათებდნენ მას მისი სახელოვანი მოწაფეები:



„მისი ზნეობრივი სიწმინდე, გულწრფელობა და პირდაპირობა მუდამ მამხნევებდა და მაახალგაზრდავებდა“ (აკადემიკოსი ნ. ზელინსკი).

„ვ. პეტრიაშვილი მარტო მეცნიერების მასწავლებელი კი არა, ზნეობის ცოცხალი მაგალითიც იყო. ბედნიერია ის დაწესებულება, სადაც პეტრიაშვილისთანა აღმზრდელები მოიპოვებიან... იგი არა მარტო თესავდა მეცნიერების, ცოდნისა და შრომის მარცვლებს, არამედ ერთი იმ მასწავლებელთაგანიც იყო, რომელთა გავლენით ჩნდება და მტკიცდება ჩვენს ახალგაზრდობაში ზნეობრივი კავშირი უნივერსიტეტთან. ეს ფასდაუდებელი აღზრდაა, რომელიც თავის ბეჭედს ასვამს მთელ თაობებს. ბედნიერი არიან ისეთ უნივერსიტეტებში აღზრდილნი, სადაც ამგვარი პირები ჰყავთ. ვასილ მოსეს ძე ხომ მათ შორის ერთი საუკეთესოთაგანი იყო“ (პროფესორი ა. მედვედევი).

„წყნარი, დიადი, როგორც მისი მშობლიური მთები, უკეთილშობილესი და უანგარო, პოეტურ საქართველოს შვილთაგან იგი იყო ჩვენთვის ცოცხალი სინდისი და ნუგეში ჩვენი ჟამთა სიავის მძიმე დღეებში“ (პროფესორი ი. ლინიჩენკო).

„ძნელია, მოინახოს შესაფერისად შთამბეჭდავი სიტყვები მისი სულიერი სიდიადის გამოსახატავად მთელი თავისი სილამაზით. სიტყვები მეტად მკრთალია, ხოლო სახეები — სრულიად არასაკმარისი საიმისოდ, რომ, ვისაც იგი არ უნახავს, წარმოიდგინოს ნათელი სახე ამ უაღრესად კეთილშობილი ადამიანისა. მოყვასის სიყვარულით იყო სავსე მთელი მისი სიცოცხლე. ადამიანის სიყვარული და, აქედან გამომდინარე, გაჭირვებულის დახმარება ვასილ პეტრიაშვილის მთელ სიცოცხლეს წითელ ზოლად გასდევდა. მისთვის მნიშვნელობა არ ჰქონდა იმას, თუ ვინ საჭიროებდა დახმარებას — ელინი, იუდეველი, ლაბორატორიის თანამშრომელი თუ ძალაუფლების მქონე პირი. იგი არ იშურებდა დროს, აძლევდა ფულს, წიგნებს, ეხმარებოდა თავისი ცოდნით და ადამიანის სამსახურში დაღლას არ გრძნობდა. მას იმდენად უყვარდა ადამიანი, რომ ორგანულად არ შეეძლო ბოროტების ჩადენა“ (მისი სტუდენტი ვ. გერნეტი).

„მე რომ პოეტური ნიჭი მქონოდა და მომენდომებინა დამეხატა ისეთი ადამიანის სახე, რომელიც სიბრძნესთან შერწყმული გულკეთილობის განსახიერებაა და რომელიც დაჯილდოებულია საუკეთესო ზნეობრივი თვისებებით, დავხატავდი ვასილ მოსეს ძე პეტრიაშვილს“, — წერდა მაშინ ოდესის უნივერსიტეტის პროფესორი, ჩვენი სასიქადულო მეცნიერი პეტრე მელიქიშვილი.

უაღრესი პატივისცემითა და სიყვარულით იხსენიებენ ვასილ პეტრიაშვილს დიდი ქართველი მოღვაწენი ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, გიორგი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე, იაკობ გოგებაშვილი და სხვები. სხვანაირად არც შეიძლება ყოფილიყო: ვასილ პეტრიაშვილი ხომ თვითონაც ჭეშმარიტად დიდი ქართველი მოღვაწე გახლდათ, გამოჩენილი მეცნიერი-ქიმიკოსი და სამაგალითო მამულიშვილი. გაზეთ „დროებაში“ გამოქვეყნებულ წერილში მან ქართველ ახალგაზრდობას წმინდა ანდერძად დაუტოვა: „ყველა კაცის ვალია, რომ იმან ფუჭად და ქვეყნისათვის უსარგებლოდ არ იაროს დედამიწის ზურგზე; ყველა სარგებლობის მოტანას უნდა ელტვოდეს!“ — ამ პრინციპს ემსახურებოდა იგი მთელი სიცოცხლე, თანაც ესოდენ თავგამოდებით, რწმენით, იმედით, სიყვარულით.

„მრავალნი არიან ჩინებულ, ხოლო მცირედნი რჩეულ“ (მათე, 20,16). ვასილ პეტრიაშვილი თავისი ბრწყინვალე ნიჭისა და მაღალი ზნეობის წყალობით „ჩინებულიც“ გახლდათ და ჭეშმარიტად „რჩეულიც“. ამიტომ მის ნათელ ხსოვნას მეტი გაფრთხილება უნდა, სხვათაშორის, უპატრონოდ მიტოვებულ მის საფლავსაც...

**რამაზ გახოკიძე**
***პროფესორი, ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი, სახელმწიფო და პ. მელიქიშვილის სახელობის პრემიების ლაურეატი***

# საუკუნის სენსაციად მონათლული

მეცნიერული თუ მხატვრული შემოქმედება ადამიანის ყოფიერების, მისი კულტურის საფუძველია, ყველა იმ მატერიალურ თუ სულიერ ღირებულებათა წყაროა, რაც კი კაცობრიობას შეუქმნია თავისი არსებობის მანძილზე. ბუნების შემსწავლელი მეცნიერებანი მჭიდროდაა დაკავშირებული საზოგადოების ცხოვრების წინსვლასა და მსოფლიოს განვითარებასთან.

ქართველი ერის გამოჩენილ მეცნიერ-ხელოვანთა შორის თამამად შეგვიძლია დავასახელოთ ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ფილოსოფიურად მოაზროვნე, მუსიკალურ საზოგადოებაში წარმოჩენილი საზოგადო მოღვაწე რამაზ გახოკიძე.

ცნობილი მეცნიერ-ქიმიკოსის და დიდი პიროვნების აკაკი გახოკიძის შთამომავალი ღირსეულად ატარებს მეცნიერისა და მამულიშვილის სახელს. ოჯახური ტრადიციის გათვალისწინებით პროფესიის არჩევა არ გასჭირვებია... მეცნიერებასა თუ ხელოვნებაში მის მიერ განვლილი გზა საოცრად იღბლიანი და წარმატებულია. დაუღალავმა შრომამ და რუდუნებამ ქიმიკოს-მეცნიერს არა ერთი ჯილდო თუ აღიარება მოუტანა.

პროფესორ რამაზ გახოკიძის სამეცნიერო მოღვაწეობის შესახებ ბევრი დაწერილა: მისი მნიშვნელობა აღწერილია საქართველოს და უცხოეთის მრავალ ენციკლოპედიასა თუ ცნობარში. მეცნიერის მიერ შექმნილი ახალი თაობის ბიოპრეპარატები დანერგილია სამედიცინო და სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკაში.

ამჟამად, ჩვენი ყურადღება გვინდა გავამახვილოთ მეცნიერის ხელოვნებისადმი, კერძოდ, მუსიკისადმი დამოკიდებულებაზე.

ბატონმა რამაზმა წარჩინებით დაამთავრა მე-9 მუსიკალური სკოლა, შემდეგ I მუსიკალური სასწავლებელი. მუსიკა იყო თანმდევი მისი ყოველი წარმატებისა სამეცნიერო კვლევებისას თუ უნივერსიტეტში პედაგოგიური მოღვაწეობის ჟამს.

საერთოდ, „მშვენიერებისადმი ლტოლვა უფრო მიზანდასახულსა და ამაღლებულს ხდის ჩვეულებრივ მოკვდავთ“. სიცოცხლე ბუნების განვითარების უმაღლესი მწვერვალია. მისი მატერიალური საფუძველი კი ცილაა. ყოველი ცოცხალი ორგანიზმის ცილა სპეციფიკური და განსხვავებულია, რაც ორგანიზმთა ინდივიდუალურ თავისებურებებს განაპირობებს. ცილებს მიეკუთვნება მრავალი ჰორმონი და ფერმენტი, რომლებიც აჩქარებს ორგანიზმში ნივთიერებათა ცვლის რეაქციებს.

ძალზე ძნელია ცოცხალი მატერიის განვითარების და მთლიანობის პროცესი წარმოსახო მუსიკის ენით.

მის უზადო ნიჭიერებასა და მუსიკალურობაზე მიგვანიშნებს რამაზ გახოკიძის მიერ შექმნილი მუსიკალური ნაწარმოებები. მას ეკუთვნის 100-მდე ვოკალური, საგუნდო, ინსტრუმენტული და სიმფონიური ნაწარმოებები; მეცნიერული კულტურის საერთაშორისო ცენტრის (მსოფლიო ლაბორატორიის) ჰიმნი (გამარჯვებულია კონკურსში); სავიოლინო კონცერტი; სიმებიანი კვარტეტი (გამარჯვებულია კონკურსში); სიმფონიური სურათი „ოლიმპიური ცეკვა“; რომანსები, რომლებიც სრულდება მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში (აშშ, ინგლისი, სამხრეთ კორეა, ჩეხეთი, რუსეთი და სხვ.); გამოცემული აქვს კომპაქტდისკი უცხოეთში.

მის სიმღერებს კი ასრულებდნენ ჩვენი სასიქადულო მომღერლები: ნანი ბრეგვაძე, ეკა მამალაძე, მედეა ძიძიგური და სხვები.

ქიმიური ფორმულების სიმფონია ცალკე ფენომენია და ეს არ არის უბრალოდ ნათქვამი... წლების წინ მეცნიერმა ცილების „მუსიკალური” გაშიფრვა შეძლო.

ცილის გიგანტური მოლეკულები ორი ათეული ამინმჟავითაა აგებული. მათი სპეციფიკურობა შეიძლება შეედაროს მუსიკას, რომელიც ბგერათა გარკვეული თანამიმდევრობით იქმნება.

რამაზ გახოკიძის ვარიაცია ცილაზე ისევე იცავს მუსიკალურ ბგერათა კანონზომიერებას, როგორც ცილას – პოლიპეპტიდურ ჯაჭვში ამინმჟავათა რაოდენობა, სტრუქტურა და თანამიმდევრობა.

მუსიკოსმა ცილების შემადგენლობაში შემავალ თითოეულ ამინმჟავას განსაზღვრული მუსიკალური ბგერა შეუსაბამა.



მე-8 გვერდზე



International Year of
CHEMISTRY
2011

# ქიმიის სამყარო

## საუკუნის სენსაციად მონათლული

მეშვიდე გვერდიდან

| ამინომჟავები | ლათინური შემოკლება | მუსიკალური ბგერები |
|---|---|---|
| გლიცინი | GLI | დო |
| ალანინი | Ala | რე |
| ვალინი | Val | მი |
| ლეიცინი | Leu | ფა |
| იზოლეიცინი | Ile | სოლ |
| ცისტეინი | Cys | ლა |
| ცისტინი | (Cys)2 | სი |
| მეთიონიონი | Met | დო დიეზი |
| სერინი | Ser | რე დიეზი |
| ტრეონინი | Thr | მი დიეზი |
| ასპარაგინის მჟავა | Asp | ფა დიეზი |
| გლუტამინის მჟავა | Glu | სოლ დიეზი |
| ლიზინი | Lys | ლა დიეზი |
| ჰიდროქსილიზინი | Hylys | სი დიეზი |
| არგინინი | Arg | დო ბემოლი |
| ფენილალანინი | Phe | რე ბემოლი |
| თიროზინი | Tyr | მი ბემოლი |
| ჰისტიდინი | His | ფა ბემოლი |
| ტრიფტოფანი | Try | სოლ ბემოლი |
| პროლინი | Pro | ლა ბემოლი |
| ჰიდროქსიპროლინი | Hypro | სი ბემოლი |

Asp-Ser-Gly-Pro-Tyr-Lys-Met-Glu-His-Phe-
Arg-Try-Gly-Ser-Pro-Pro-Lys-Asp



აქ წარმოდგენილია მსხვილფეხა რქოსანი საქონლის ადრენოკორტიკოტროპული ჰორმონის პირველადი ფრაგმენტის სტრუქტურა. მისი შესატყვისი მელოდიის ჰარმონიზაციით ავტორმა მიიღო ნაწარმოები ფუგის სტილში.

„მაშინ არ დამიჯერეს და, წლების შემდეგ, ამერიკის შეერთებულ შტატებში უკვე საუკუნის სენსაციად მოინათლა „მუსიკალური" კოდის გაშიფრვის პრინციპი, რომელიც დიდი ხნის წინ აღმოვაჩინე", - ამბობს მეცნიერი და გვიხსნის, რომ ყველა ადამიანს თავისი მუსიკალური კოდი აქვს და რომ კომპიუტერის მეშვეობით მისი გაშიფვრა შეიძლება: ამ პრინციპით წინასწარ ისაზღვრება - რა დაავადებისადმი აქვს ადამიანს მიდრეკილება. „მედიცინა ამ დიაგნოსტიკურ საშუალებას ჯერ კიდევ ვერ ფლობს, მე კი ამას სცენარში, ანუ პარტიტურაში ვკითხულობ და ესაა ადრეული დიაგნოსტიკა. ამავე მეთოდით შეიძლება განისაზღვროს ადამიანის ფსიქოტიპიც. მაგალითად, თუ თქვენი ცილა ჟღერს როგორც „ჩაკრულო", ხოლო პარტნიორისა - როგორც მძიმე როკი, შეუთავსებელი ხართ", – განმარტავს ბატონი რამაზი.

უნივერსიტეტის 50 წლისთავისადმი მიძღვნილმა ჰიმნმაც (რამაზ გახოკიძის ავტორობით) იმ კონკურსში გაიმარჯვა, რომელშიც თავად რევაზ ლაღიძემ მხოლოდ მეორე ადგილი დაიკავა. ეს ჰიმნი უცხოეთის უნივერსიტეტებშიც სრულდება.

რამაზ გახოკიძის ნაწარმოებები შეტანილია სან-ფრანცისკოს მსოფლიოში აღიარებული „ალექსანდრეს სიმებიანი კვარტეტის" 21-ე საუკუნის პროგრამაში. ნაწარმოების შესახებ „ალექსანდრეს სიმებიანი კვარტეტის" ხელმძღვანელმა ა. ვილსონმა განაცხადა: „ეს ფანტასტიკაა... ეს ქართული ტემპერამენტია" .

ამერიკის სახელგანთქმული კვარტეტი რამდენიმე წლის წინ სტუმრობდა თბილისს, კონცერტის წამყვანი კი თავად მიხეილ სააკაშვილი გახლდათ, რომელმაც ასე გახსნა საღამო: „ისეთი წარუმატებელი, როგორიც მუსიკაში მე ვიყავი, ძნელია სხვა მოიძებნოს, მაგრამ როგორც კარგი მსმენელი, სიამოვნებით ვასრულებ კონფერანსიეს მისიას"... ეს კონცერტი, ალბათ, დიდხანს ემახსოვრება ჩვენს მუსიკალურ საზოგადოებას.

არ არსებობს რაიმე ეროვნული თუ საერთაშორისო მოვლენა, რომელსაც ბატონი რამაზ გახოკიძე არ ეხმიანებოდეს. რამდენიმე ხნის წინ, იაპონიაში მომხდარი სტიქიური უბედურების შედეგად გამოწვეული ეროვნული ტრაგედიის გამო, იაპონიისა და იაპონელი ხალხისათვის სოლიდარობის გამოხატვის აღსანიშნავად, 14 მარტს, სტუ-ში ტექნიკურ უნივერსიტეტთან არსებული კლასიკური მუსიკის სტუდიის გალა კონცერტი გაიმართა. ამ ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს ქართული საოპერო ხელოვნების ახალგაზრდა შემსრულებლებმა, სადაც ჯ. ვერდის, ჯ. პუჩინის გვერდით რ. გახოკიძის ნაწარმოებებიც ჟღერდა.

XXI საუკუნის მსოფლიო მოაზროვნეთა გვერდით სამართლიანად მოიხსენებენ ბატონ რამაზ გახოკიძეს, როგორც დიდ მეცნიერს მუსიკოსთა შორის და დიდ მუსიკოსს მეცნიერთა შორის...

**მაია ნუცუბიძე,**
*ქიმიის დოქტორი*

## მოსწავლეები უნივერსიტეტში





ქ. თბილისის წმიდა გიორგის სახელობის საერო სკოლის 9-10 კლასის მოსწავლეები: ანა სიხარულიძე, სალომე ჩოფიკაშვილი, მარიამ სურგულაძე, მარიამ გოგიაშვილი, ანდრია კასრაძე, დიმიტრი ბუჯიაშვილი და საბა თოფურიძე ქიმიის პედაგოგთან ნინო მახარაძესთან ერთად ეწვივნენ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქიმიის მიმართულებაზე არსებულ ლაბორატორიებს, სადაც ქიმიკოს თანამშრომლების დახმარებით დაათვალიერეს ლაბორატორიები, გაეცვნენ სხვადასხვა ხელსაწყო-დანადგარის მუშაობის პრინციპს. მოსწავლეებს პედაგოგმა ჩაუტარა გასვლითი გაკვეთილი, რომლის დროსაც აქცენტები გაკეთდა იმ თემებზე, რაზეც ბავშვები დამოუკიდებლად მუშაობდნენ და მოემზადნენ სასკოლო კონფერენციისთვის, რომელიც ქიმიის საერთაშორისო წელს მიეძღვნა. მათ თსუ-ის ბაზაზე ჩაატარეს კვლევა: „ჯგუფის შეფერილი ვიტამინების დაყოფა თხელფენოვან ქრომატოგრაფზე". აღნიშნული მასალა ერთ-ერთი საკონფერენციო თემა გახლდათ.

ქიმიის სწავლების გაუმჯობესების მიზნით სკოლაში შექმნილია თანამედროვე ქიმიის კაბინეტ-ლაბორატორია, სადაც მოსწავლეები ატარებენ ექსპერიმენტებს, როგორც დამოუკიდებლად, ისე პედაგოგთან ერთად. ქიმიის წელთან დაკავშირებით სკოლაში გაიმართა ქიმიური კროსვორდების „ქიმვორდის" კვირეული. ქიმიის სწავლებით დაინტერესებულმა მოსწავლეებმა დაამზადეს ბუნებრივი ინდიკატორები მცენარეებისა და ბოსტნეულის ნაყენისაგან. კონფერენციაში მონაწილე მოსწავლეებს სიგელები გადაეცათ.

რედკოლეგიის წევრები:
ნინო ქოქიაშვილი, მანანა კეკენაძე,
ანა ხაიაური, ნატალია ბოგვერაძე

მისამართი: ილია ჭავჭავაძის გამზ. 3
(თსუ-ის მე-2 კორპუსი)
5 93 24 52 12

# თსუ მოსწავლეებს საატესტატო გამოცდებისთვის მოამზადებს

**ნატო ოზოლაძე**

სექტემბრიდან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი სკოლის მოსწავლეებს საინტერესო სიახლეს სთავაზობს. თსუ-ის სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტის აბიტურიენტთა მოსამზადებელი განყოფილება მოზარდებს საატესტატო გამოცდებისთვის მოამზადებს. მიღება მიმდინარე წლის 20 სექტემბრიდან დაიწყება და სწავლა 2012 წლის 20 მაისს დასრულდება. თსუ-ის პროფესორ-მასწავლებლები მოსწავლეებს 8 საგანში მოამზადებენ, ესენია: ქართული ენა და ლიტერატურა, უცხო ენა (გერმანული, ინგლისური, ფრანგული, რუსული), ისტორია, მათემატიკა, გეოგრაფია, ბიოლოგია, ქიმია, ფიზიკა. თითოეულ საგანს კვირაში 4 საათი დაეთმობა და თითოეული მათგანის ღირებულება 400 ლარით განისაზღვრება, თუმცა, თსუ-ის ადმინისტრაციის გადაწყვეტილებით, ერთზე მეტი საგნის არჩევის შემთხვევაში, მოსწავლეებს საფასურთან დაკავშირებით შეღავათებით სარგებლობაც შეეძლებათ, მაგალითად: 8 საგნის არჩევის შემთხვევაში მოსწავლე 3000 ლარს გადაიხდის, 4 საგნის არჩევის შემთხვევაში — 1500 ლარს, 2 ან მეტი საგნის არჩევის შემთხვევაში კი შესაძლებელია თანხის ეტაპობრივი გადახდა.

მოსამზადებელი განყოფილება საატესტატო გამოცდებისთვის ფუნქციონირებას იწყებს თბილისში — ვაჟა-ფშაველას გამზირი №42/44, ქეთევან წამებულის 53-ში (ყოფილი თეუსუ შენობაში) და ქალაქ რუსთავში — ტაშკენტის ქ. 6-ში განთავსებულ შენობაში. მოსწავლეები ცოდნის დონის მიხედვით სხვადასხვა ჯგუფებში გადანაწილდებიან. აღსანიშნავია, რომ სურვილის შემთხვევაში მათ შეუძლიათ ერთიანი ეროვნული გამოცდებისთვის მოსამზადებელ განყოფილებაშიც დარეგისტრირდნენ და გარკვეული საგნები უფრო ძლიერი პროგრამით შეისწავლონ.



რუსუდან სანადირაძე

როგორც ცნობილია, მოზარდებისთვის საშუალო განათლების მიცემა საჯარო სკოლების მოვალეობაა. რატომ გახდა აუცილებელი, რომ მოსწავლეები საატესტატო გამოცდებისთვის უმაღლესმა სასწავლებელმაც მოამზადოს? — ამ კითხვით ჩვენ თსუ-ის სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტის უფროსის მოადგილეს რუსუდან სანადირაძეს მივმართეთ.

„სტატისტიკას თუ გადავხედავთ, დაფიქსირებულია საატესტატო გამოცდებში ჩაჭრილ მოსწავლეთა გარკვეული რაოდენობა. ძალიან გამიკვირდა და არ მეგონა, თუ საქართველოს მასშტაბით ამდენი ბავშვი ჩაიჭრებოდა. საატესტატო გამოცდებისთვის მოსამზადებელი კურსების გახსნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კეთილი ნებაა. გვინდა, მოსწავლეებს დავეხმაროთ, რათა ცოდნა გაიღრმავონ და დათრგუნონ გამოცდების მიმართ გაჩენილი შიში. ვფიქრობ, თსუ-ის მოსამზადებელ კურსებზე სიარული მოზარდების მხრიდან სკოლის მიმართ გულგრილ დამოკიდებულებას არ გამოიწვევს. პირიქით, რაც უფრო მეტი პროფესიონალი აუხსნის მათ მასალას, მით უფრო კარგად შეისწავლიან ამა თუ იმ საგანს“, — გვითხრა რუსუდან სანადირაძემ.

იმისათვის, რომ მოსწავლეებმა თსუ-ის მოსამზადებელ კურსებზე სიარული დაბრკოლების გარეშე შეძლონ, ლექციები სკოლებში გაკვეთილების დასრულების შემდეგ, დაახლოებით, 15.00 საათის მერე

**საატესტატო გამოცდებისთვის მოსამზადებელი კურსების გახსნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კეთილი ნებაა. გვინდა, მოსწავლეებს დავეხმაროთ, რათა ცოდნა გაიღრმავონ და დათრგუნონ გამოცდების მიმართ გაჩენილი შიში.**

დაიწყება. უახლოეს მომავალში თსუ-ის ვებ-გვერდზე სპეციალური პორტალიც გაკეთდება, სადაც მოსწავლეებს დარეგისტრირება ინტერნეტის საშუალებითაც შეეძლებათ.

საატესტატო გამოცდებისთვის მოსამზადებელ კურსებზე მოზარდებს ლექციებს ის პროფესორ-მასწავლებლები წაუკითხავენ, ვისაც მოსწავლეებთან ურთიერთობის დიდი გამოცდილება უკვე აქვთ. სტატისტიკას თუ გადავხედავთ, იმ მოსწავლეებმა, რომლებიც ერთიანი ეროვნული გამოცდებისთვის თსუ-ში ემზადებოდნენ, საკმაოდ მაღალი ქულები მიიღეს და სახელმწიფო დაფინანსებაც მოიპოვეს. აღსანიშნავია, რომ იგივე მოსწავლეები სწავლის გასაგრძელებლადაც ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს ირჩევენ, რადგან წინასწარ ეცნობიან თსუ-ში მოქმედ სასწავლო პროგრამებსა და აკადემიურ პერსონალს. როგორც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო დეპარტამენტში გვითხრეს, თსუ-ში მოქმედი ერთიანი ეროვნული გამოცდებისა და საატესტატო გამოცდებისთვის მოსამზადებელი განყოფილებების ფუნქციონირება ხელს უწყობს სკოლის მოსწავლეთა საშუალო განათლების დონის ამაღლებას და პარალელურად ზრდის უმაღლესი სასწავლებლის პოპულარობასაც.

## თსუ-ის აკადემიურ პერსონალს!

თსუ-ს სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტის აბიტურიენტთა მოსამზადებელ განყოფილება იწვევს პედაგოგებს 2011-2012 სასწავლო წელს ერთიან ეროვნულ და საატესტატო გამოცდებში აბიტურიენტთა მოსამზადებლად შემდეგ საგნებში:

ქართული ენა და ლიტერატურა;
უცხო ენა (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული);
ისტორია;
მათემატიკა;
გეოგრაფია;
ბიოლოგია;
ქიმია;
ფიზიკა;
ზოგადი უნარები.

**დაინტერესებული პირები დაგვიკავშირდით:**
***თსუ, II კორპუსი, ოთახი №134***
**ტელეფონი:**
***2 29 09 60; 2 25 39 71; 2 47 53 82***

# უფასო საზაფხულო სკოლა მოსწავლეთათვის

**შურთხია ბეროშვილი**

თსუ-ის ფიზიკის დიდ აუდიტორიაში 177-ე საჯარო სკოლის XI კლასის მოსწავლე თამარ კაპანაძემ უკვე მესამე საგანში გაიარა ტესტირება და შედეგებითაც კმაყოფილი ჩანს. იგი საზაფხულო სკოლაში ელექტრონულ პორტალზე დარეგისტრირების შედეგად მოხვდა. ამბობს, რომ ახლა მეტი პასუხისმგებლობით მოეკიდება ყველა საგნის შესწავლას, რათა მომავალ წელს უპრობლემოდ ჩააბაროს საატესტატო, შემდეგ კი ერთიანი ეროვნული გამოცდები.

„თსუ-ის საზაფხულო სკოლის შესახებ პედაგოგმა მოგვაწოდა ინფორმაცია. მე და ჩემმა მეგობრებმა გადავწყვიტეთ, სანამ დასასვენებლად გავემგზავრებით, კიდევ ერთხელ შევამოწმოთ ჩვენი ცოდნა. ახლა უკვე ვიცი, მომავალი წლიდან რას უნდა მივაქციო მეტი ყურადღება. კმაყოფილი და მადლიერი ვარ ყველა იმ პედაგოგის, რომლებიც კონსულტაციას გვიწევენ და გვეხმარებიან ცოდნის გაღრმავებაში“, — ამბობს თამარი.

როგორც ცნობილია, წელს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ უპრეცედენტო გადაწყვეტილება მიიღო, რომელიც არა მარტო საქართველოსთვის იყო სიახლე, არამედ მსოფლიოს სხვა ქვეყნებისთვისაც. პრეზიდენტის ინიციატივა იმის თაობაზე, რომ სკოლის ყველა მოსწავლეს თავისი ცოდნა გამოცდებით უნდა დაემტკიცებინა, წარმატებით განხორციელდა. საატესტატო გამოცდები CAT-ის საგამოცდო მოდელით 1520 სკოლის საგამოცდო ცენტრში მიმდინარეობდა, სადაც პროცესი უახლესი სისტემებით აღჭურვილი სასერვისო ოთახიდან ვიდეო-გამოსახულების საშუალებით კონტროლდებოდა. ამ პროცესმა ყველა: მოსწავლე თუ მასწავლებელი დაარწმუნა იმაში, რომ სწავლა და შესაბამისი ცოდნის მიღება აუცილებელია და ამის გარეშე ვერც ერთი ახალგაზრდა ფონს იოლად ვერ გავა.

აღსანიშნავია, რომ 2011 წლისთვის ბარიერთან დაკავშირებით შეღავათები იმის გათვალისწინებით დადგინდა, რომ წელს საატესტაო გამოცდები პირველად ჩატარდა, მომავალი წლიდან კი 3 საგანში დაწესებული შეღავათები აღარ იქნება. ამის გათვალისწინებით, ბევრმა მოსწავლემ აქედანვე დაიწყო მომავალი წლისათვის მზადება. მეთერთმეტე კლასის მოსწავლეებს საკუთარი ცოდნის დონის შეფასება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტშიც მიეცათ. საზაფხულო სკოლის ფარგლებში, მათ საშუალება აქვთ ტესტირება გაიარონ შემდეგ საგნებში: ქართულ ენასა და ლიტერატურაში, მათემატიკაში, ფიზიკაში, გეოგრაფიაში, ბიოლოგიაში, ქიმიაში, ისტორიასა და უცხო ენაში. მათ კონსულტაციას თსუ-ის პროფესორ-მასწავლებლები უწევენ, შემდეგ კი ტესტირების შედეგებს მოსწავლეებთან ერთად განიხილავენ.

თსუ-ის სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტის ხელმძღვანელის დალი კანდელაკის ინფორმაციით, უფასო საზაფხულო სკოლა, 20 ივნისიდან 5 ივლისის ჩათვლით, საჯარო სკოლის მოსწავლეებს საშუალებას მისცემს — ტესტირების საფუძველზე შეამოწმონ თავიანთი ცოდნა სხვადასხვა საგანში.



დალი კანდელაკი

„ჩვენი ეს ახალი ინიციატივა იმითაც არის განპირობებული, რომ წარმატებით გაგრძელდეს სახელმწიფოს მიერ აღებული კურსი და უნივერსიტეტში ღირსეული, ცოდნაზე ორიენტირებული თაობა მოვიდეს. საზაფხულო სკოლა მოსწავლეებს სრულიად უანგაროდ ეხმარება. უნივერსიტეტმა უარი თქვა ყოველგვარ მოგებაზე, რათა მომავალ თაობას ცოდნის გამტკიცებაში ხელი შეუწყოს“, — აცხადებს დალი კანდელაკი. მისი ინფორმაციით, უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა სკოლის მოსწავლეთა სწავლის ხელშეწყობის მიზნით, კვლავაც განაგრძობს მსგავსი ღონისძიებების გატარებას. აღსანიშნავია, რომ საზაფხულო სკოლის ფარგლებში სკოლის მოსწავლეებს ტესტირება რუსთავშიც უტარდებათ.







# ბიზნეს-ოლიმპიადაში გამარჯვებული „ქართველი“

მესამე გვერდიდან

მნიშვნელოვანი იყო პროექტისთვის თემატიკის შერჩევა, რაშიც სტუდენტებს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის პროფესურა დაეხმარა. შეირჩა სტუდენტებისთვის საინტერესო და აქტუალური თემატიკა: განათლება, სოფლის მეურნეობა, ტურიზმი, ენერგეტიკა, ინფრასტრუქტურა, მრეწველობა, ბიზნეს გარემოს ანალიზი, სოციალური პოლიტიკა, ეკონომიკური პოლიტიკა, მედია მენეჯმენტი.

სტუდენტების მიერ წარმოდგენილ პროექტებს აფასებდა ჟიური, რომლის შემადგენლობაშიც შედიოდნენ: თსუ-ის სრული პროფესორები: ელენე ხარაბაძე, მაია მარგველაშვილი, ეთერ ხარაიშვილი, მიხეილ ჩიკვილაძე. ასოცირებული პროფესორები: ნინო პაპაჩაშვილი, ეკა ლეკაშვილი და ასისტენტ-პროფესორი ეკატერინე გულუა.

13 ივნისს კომპეტენტურმა ჟიურიმ „თსუ ბიზნეს-ოლიმპიდა 2011”-ის ფინალურ შეხვედრაზე III ტურში გასული 5 გუნდიდან გამარჯვებული გამოავლინა. გამარჯვებული გუნდია „ქართველი“ თემით „მეღვინეობა“ (ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი ნინო ფარესაშვილი). გუნდის წევრები არიან თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის II კურსის სტუდენტები: ავთანდილ აბაშიშვილი (გუნდის კაპიტანი), გულიკო დემეტრაშვილი, ნათია ჯაოშვილი, მარიამ იაკობიძე და ლევან ქვარიანი.

„საქართველოს გააჩნია უდიდესი კულტურულ-ტრადიციული მემკვიდრეობა მეღვინეობის მხრივ. ჩვენ გვაქვს ღვინის დასაყენებელი უნიკალური ტექნოლოგიები, რომლის ანალოგიც მსოფლიოში არ მოიძებნება. ერთ-ერთი ასეთი ტექნოლოგია გახლავთ ქვევრი, რომელშიც უმაღლესი ხარისხის ღვინო მზადდება. საქართველო განეკუთვნება მაღალხარისხიანი მევენახეობის ზონას. აქ შესაძლებელია დაყენდეს უმაღლესი ხარისხის ღვინო, რომელიც ნებისმიერი ბაზრის მოთხოვნებს დააკმაყოფილებს. ამ სფეროს განვითარებით საქართველო შეძლებს შეიძინოს უდიდესი სტრატეგიული მნიშვნელობა, აღიარებული იქნეს როგორც ღვინის სამშობლო და გახდეს მაღალხარისხიანი ღვინის ერთ-ერთი უდიდესი მწარმოებელი მსოფლიოში.



ღვინის საერთაშორისო ბაზარზე დამკვიდრება ქვეყანას დიდ ეკონომიკურ სარგებელს მოუტანს. სწორედ ამ მიზეზების გამო გადაწყვიტა გუნდმა „ქართველმა“ „ბიზნეს-ოლიმპიადა 2011“-ის კონკურსში საქართველოში მეღვინეობის განვითარება განეხილა“, — განაცხადა გამარჯვებული გუნდის კაპიტანმა ავთანდილ აბაშიშვილმა. გარდა ამისა, გუნდმა თავის ნაშრომში საინტერესოდ წარმოადგინა ამ დარგის სხვადასხვა საკითხები, როგორიცაა: შესაბამისი საკანონმდებლო ბაზა, დარგის კლასტერი, SWOT-ანალიზი, საგადასახადო პოლიტიკა, ეფექტური რეგიონალური კავშირების ჩამოყალიბება.

ოლიმპიადის მესამე ტურში წარმოდგენილი სხვა სტუდენტური პროექტებიც არანაკლებ საინტერესო და აქტუალური იყო როგორც თემატიკით, ასევე, კვლევის თვალსაზრისით.

„ჩვენ ყოველთვის ვუჭერთ მხარს სტუდენტური იდეების, საინტერესო და მნიშვნელოვანი პროექტების განხორციელებას. საკმაოდ დიდი იყო ამ პროექტით სტუდენტების დაინტერესება. ეს იყო ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური პროექტი ჩვენს ფაკულტეტზე. აქვე მინდა დიდი მადლობა მოვახსენო ყველას, ვინც მხარში გვიდგას და ჩვენთან ერთად ზრუნავს სასწავლო პროცესის უფრო ხარისხიანად და ეფექტურად წარმართვისათვის“, — განაცხადა თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტმა, „ახალგაზრდა ეკონომისტთა კლუბის“ პრეზიდენტმა გიორგი დევიძემ.

თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ხარისხის მართვის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ასოცირებულმა პროფესორმა ეკა ლეკაშვილმა მაღალი შეფასება მისცა ოლიმპიადაზე წარმოდგენილ პროექტებს და აღნიშნა: „შარშანდელთან შედარებით სტუდენტების დაინტერესება საკმაოდ გაზრდილია, მიუხედავად იმისა, რომ ჟიურის მოთხოვნები მკაცრი გახლდათ. იზრდება დაინტერესება სხვადასხვა დარგების პრობლემატიკის შესწავლისა, ახალი მეთოდების ათვისებისა, ჯგუფური მუშაობის კომპეტენციის გაზრდის თვალსაზრისითაც. ოლიმპიადაში მონაწილეობა, ზოგადად, გარკვეული დარგის ცოდნის დონის გაღრმავებას უწყობს ხელს და ახალგაზრდა სპეციალისტების აღზრდას ემსახურება. სტუდენტები სწავლობენ კონკურსში და კონკურენციისას მონაწილეობის წესებს და ბრძოლის მეთოდებსაც, რითაც ცხოვრებისეულ და პროფესიულ გამოცდილებას იძენენ“.

ასევე დადებითად აფასებს ოლიმპიადაზე წარმოდგენილ პროექტებს თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სრული პროფესორი ეთერ ხარაიძე და ხაზს უსვამს სტუდენტების დაინტერესებას აქტუალური თემატიკით.

„როგორც მოგეხსენებათ, სოფლის მეურნეობის დარგის განვითარება, წელს, პრიორიტეტულ დარგად გამოცხადდა. მნიშვნელოვანია, რომ სტუდენტების მხრიდან დიდი გამოძახილი იყო ამ მხრივ. ოთხ გუნდს ჰქონდა წარმოდგენილი თემა სოფლის მეურნეობის განვითარების თემატიკასა და სხვა აქტუალურ საკითხებზე. ვიმედოვნებ, რომ მომავალ წელს ეს ოლიმპიადა უფრო დიდ მასშტაბებს მიიღებს და სტუდენტები არა მარტო თეორიული საკითხების ცოდნით შემოიფარგლებიან, არამედ საკვლევ ობიექტებზე გავლენ, დარგის ექსპერტებს შეხვდებიან და კვლევის შედეგების ანალიზის წარმოჩენის კარგ უნარ-ჩვევებს შეიძენენ“, — აღნიშნა ეთერ ხარაიძემ.

გამარჯვებული გუნდის კაპიტანმა ავთანდილ აბაშიშვილმა გუნდის წარმატება შეკრული, მონდომებული და შეთანხმებული მუშაობის შედეგით ახსნა.

„თსუ ბიზნეს-ოლიმპიადა 2011“ წარმატებით დასრულდა. გამარჯვებულებს და ფინალისტებს სერტიფიკატები გადაეცათ, ხოლო გამარჯვებულ გუნდს თსუ-ის სტუდენტურმა თვითმმართველობამ გადასცა პრიზი — 1000 ლარი.

დაჯილდოებას სოფლის მეურნეობის, ენერგეტიკის, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროების წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ.

# დონალდ შოუმ გამოცდილება გაგვიზიარა

თამარ დადიანი

„ჟურნალისტიკა არასდროს ყოფილა ისეთი მნიშვნელოვანი დარგი და მას არასდროს ჰქონია ისეთი გამოწვევები, როგორც დღეს,“ — ასე დაიწყო პირველი საჯარო ლექცია თსუ-ში ჩრდილოეთ კაროლინას უნივერსიტეტის პროფესორმა დონალდ შოუმ, რომელიც თსუ-ს ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის მხარდაჭერით, ფულბრაიტის სპეციალისტის პროგრამის (fulbright Specialist Program) ფარგლებში ეწვია.

ფულბრაიტის პროგრამას დიდი მნიშვნელობა აქვს უნივერსიტეტში განათლების და კვლევების ხარისხის ამაღლებისთვის, საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავებისთვის. პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ლექციები სტუდენტებთან, ასევე, ვორქშოპები, დისკუსიები და ინდივიდუალური საკონსულტაციო შეხვედრები აკადემიურ პერსონალთან.

ვიზიტის ფარგლებში პროფესორი დონალდ შოუ გაეცნო ჟურნალისტიკის მიმართულების მუშაობას, სასწავლო ბაზას, შეხვდება რექტორს ალექსანდრე კვიტაშვილს, ჟურნალისტიკის მიმართულების ხელმძღვანელს მარიამ გერსამიას და მიმართულების აკადემიურ პერსონალს.

13 ივნისს, პროფესორმა დონალდ შოუმ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში პირველი საჯარო ლექცია წაიკითხა თემაზე: „კომუნიკაციების სტრატეგიები“, რომელსაც თსუ-ის რექტორი ალექსანდრე კვიტაშვილი, სტუდენტები და აკადემიური პერსონალი ესწრებოდა.

პროფესორმა ჟურნალისტიკის ისტორიასა და განვითარებაზე, ჟურნალისტის პროფესიულ თვისებებზე, სოციალური და ტრადიციული მედიის თავისებურებებსა და მნიშვნელობაზე ისაუბრა და აღნიშნა: „ჟურნალისტიკა დიდი გამოწვევების წინაშე დგას. ახალი მედიის მნიშვნელოვან სკითხებზე ჩვენ ეგვიპტის მაგალითებით შეგვიძლია ვილაპარაკოთ. ფაცებოოკ-ით გადაცემულმა ინფორმაციებმა ნათლად დაგვანახა, თუ რა ხდებოდა იქ, რომ საზოგადოება არსებული რეჟიმის წინააღმდეგ უნდა ამხედრებულიყო. სოციალური მედიის საშუალებით ეგვიპტეში განვითარებულ მოვლენებზე თვალის მიდევნება უფრო დაჩქარებულად ხდებოდა, ვიდრე ამას ტრადიციული მედია გაავრცელებდა. ინფორმაციის გავრცელების მიზნით, ტელევიზიას და რადიოს დიდი ძალისხმევა დასჭირდა იმისათვის, რომ სოციალური მედიის ცენტრს დასწეოდა.

ჟურნალისტიკა, ისევე როგორც სხვა წამყვანი პროფესიები, ხალხის სამსახურში დგას და ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანი სეგმენტია. არსებობს ორი ტიპის მედია: 1) ტრადიციული მედიის საშუალებები: ტელევიზია, რადიო, პრესა, რომლებიც თავის სტრუქტურით ვერტიკალურნი არიან, რადგან „ზემოდან ქვემოთ“ ხვდებიან აუდიტორიას და 2) სოციალური მედია და მისი კომპონენტები: ფაცებოოკ, ყოუტუბე და სხვა, რომელიც ტრადიციული მედიის საპირისპიროა. სოციალური მედია თავისი სტრუქტურით ჰორიზონტალურია, მას შეუძლია საზოგადოების ყველა ნაწილს მისწვდეს და ნებისმიერ საკითხზე ესაუბროს. იგი ტრადიციული მედიის რეალური კონკურენტი ხდება და ეს სულაც არ არის უცხო ისტორიისთვის, რადგან ძირითადი და ალტერნატიული მედია ყოველთვის არსებობდა“, — აღნიშნა პროფესორმა დონალდ შოუმ.

ჩრდილოეთ კაროლინას უნივერსიტეტის პროფესორთან შეხვედრებმა საინტერესოდ ჩაიარა. აქტიურობდნენ როგორც პედაგოგები, ასევე სტუდენტებიც. პროფესორმა დონალდ შოუმ კმაყოფილება გამოთქვა საინტერესო და ნაყოფიერი შეხვედრების გამო. მან დადებითად შეაფასა ქართველი სტუდენტების მომზადების დონე და სწავლების ხარისხი.



ნაყოფიერს და შედეგიანს უწოდებს პროფესორ დონალდ შოუს გამოცდილების გაზიარებას თსუ-ის ჟურნალისტიკის მიმართულების ხელმძღვანელი მარიამ გერსამია:

„მინდა გითხრათ, რომ საერთაშორისო მხარდაჭერა მედია-განათლების მიმართულებით, რომელიც ფულბრაიტის სპეციალისტის პროგრამის (Fulbright Specialist Program) ფარგლებში განხორციელდა, ძალიან პროდუქტიული იყო როგორც სტუდენტებისთვის, ასევე პროფესურისთვის. ჩრდილოეთ. კაროლინას უნივერსიტეტის პროფესორი დონალდ შოუ ძალიან ცნობილი მეცნიერია. მისი სახელმძღვანელოები სამაგიდო წიგნებია მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებში. ჩვენთვის მნიშვნელოვანი იყო პროფესორის გამოცდილების გაზიარება. პროგრამა მრავალფეროვანი იყო: მოვისმინეთ ძალიან საინტერესო ლექციები, გვქონდა ნაყოფიერი სამუშაო შეხვედრები. იყო ბევრი საინტერესო შეკითხვა, რჩევა.

ჩვენთვის მნიშვნელოვანია ხარისხიანი მედიის განვითარება და მედია-განათლება, კვლევების ხარისხის გაუმჯობესება და საერთაშორისო მასშტაბით კონკურენტუნარიანობა. სასიხარულოა, რომ ამ მხრივ ჟურნალისტიკის მიმართულებაზე გამოცოცხლება იგრძნობა. ეს ვიზიტიც სწორედ ამ კუთხით გადადგმული ნაბიჯია. მინდა, თქვენი გაზეთის მეშვეობით მადლობა გადავუხადო ამერიკის მთავრობას ამ პროგრამის განხორციელებისთვის, ასევე, თსუ-ის ადმინისტრაციას და, რაც მთავარია, ბატონ დონალდ შოუს“, — აღნიშნა მარიამ გერსამიამ.

ცნობილი ჟურნალისტი და მედია-მკვლევარი, პროფესორი დონალდ შოუ არა ერთი პრესტიჟული პრიზის მფლობელია. მათ შორისაა რამდენიმე ჯილდო ჟურნალისტიკის და მასკომუნიკაციის განათლების საერთაშორისო ასოციაციისგან (AEJMC); დონალდ შოუს კომუნიკაციისა და მედიის კვლევების მიმართულებით 44-წლიანი მუშაობის გამოცდილება აქვს, არის ათობით სამეცნიერო კვლევის ავტორი. ამჟერად, იგი რამდენიმე ნაშრომზე მუშაობს.

# სტუდქალაქის ხიბლი

**შურთხია ბეროშვილი**

თუკი დილას თუ საღამოს ბაგებში, სტუდქალაქში მიმავალი ავტობუსები სტუდენტებით არის გადაჭედილი, მათ შორის ორი ძმაც მგზავრობს — მიხეილ და არჩილ დვალიშვილები. ორივე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტია. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი მიხეილმა უკვე დაამთავრა და მაგისტრატურაში განაგრძო სწავლა, არჩილი კი ჯერ მეორე კურსზეა. ძმები უნივერსიტეტში ერთ-ერთ საუკეთესო სტუდენტებად ითვლებიან — ორივე 100%-იანი სახელმწიფო დაფინანსებით სწავლობს. მიხეილს სამომავლო გეგმებიც უკვე დასახული აქვს — საზღვარგარეთ უნდა პროფესიონალიზმის ამაღლება.

ძმები ამბობენ, რომ მათი ოცნებები ვერ განხორციელდებოდა, სტუდქალაქში თავშესაფარი რომ არ გამოსჩენოდათ. „უნივერსიტეტში რომ ჩავაბარე, დეიდებმა შემიფარეს, მაგრამ როდესაც ჩემმა ძმამაც ჩააბარა, გადავწყვიტეთ, დახმარებისთვის სტუდქალაქის ადმინისტრაციისთვის მიგვემართა. ოთახი, რომელშიც ვცხოვრობთ, სრულიად გვაკმაყოფილებს. ჩვენთვის მთავარია, რომ სამეცადინო პირობები გვქონდეს. დიდ ყურადღებას და მზრუნველობას ვგრძნობთ როგორც სტუდქალაქის ხელმძღვანელის, ბატონი ზაზა წაქაძის, ისე კორპუსის ადმინისტრატორის, ქალბატონ აზა ბენიძის მხრიდან. მორალური მხარდაჭერა ძალიან ბევრს ნიშნავს“, — ამბობს მიხეილ დვალიშვილი.

ქალბატონი აზა სტუდქალაქში ყველას მფარველი და პატრონია. იგი მათი პრობლემებით ცხოვრობს, თითოეულის წარმატების ამბავს პირველი იგებს და ამით ძალიან ამაყობს. „მართალია, ჩვენს სტუდენტებს იდეალურ პირობებში არ უწევთ ცხოვრება, მაგრამ ყველაფერს ვაკეთებთ მათი მოთხოვნების გასათვალისწინებლად. სიამაყით მინდა აღვნიშნო, რომ აქ მაცხოვრებელი სტუდენტობის უმეტესობა წარჩინებულია და დარწმუნებული ვარ, რომ მათ წინ დიდი წარმატება ელით. ბევრი მეუბნება, სტუდ-ქალაქი რომ არ იყოს, სწავლის გაგრძელებას ვერ შევძლებდითო“, — ამბობს ქალბატონი აზა.

სტუდქალაქის ხელმძღვანელის ზაზა წაქაძის ინფორმაციით, ამჟამად ბაგებში არსებულ სტუდქალაქის სამ კორპუსში 245 სტუდენტი და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 33 თანამშრომელი ცხოვრობს. ისინი კომუნალური გადასახადებისგან გათავისუფლებულნი არიან. ამასთან, სოციალურად დაუცველი სტუდენტები ბინის გადასახადს — თვეში 30 ლარს 50%-იანი ფასდაკლებით იხდიან. „რა თქმა უნდა, კარგი იქნება, თუ სტუდენტები უკეთეს პირობებში იცხოვრებენ. მომავალში, ალბათ, ასეც იქნება. უნივერსიტეტის ადმინისტრაციისგან დიდ მხარდაჭერას ვგრძნობთ. ამას წინათ სტუდენტებთან შესახვედრად თსუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანაშემწე გიორგი გაფრინდაშვილიც ამოვიდა, რომელმაც პრეტენზიები მოისმინა. ბუნებრივია, მათთვის მთავარია ცხოვრების პირობების გაუმჯობესება. ჩვენ ერთად ჩამოვწერეთ პრობლემები და ვეცდებით, ისინი ეტაპობრივად განვახორციელოთ. დაგეგმილი გვაქვს სამკითხველო – ბიბლიოთეკის გახსნა, სპორტული მოედნის კეთილმოწყობა და სხვა... უახლოეს მომავალში ინტერნეტის ხაზსაც შემოვიყვანთ, რაც სტუდენტებისთვის მნიშვნელოვანია. ჩემი ოცნებაა, მომავალში ისეთი დონის სტუდქალაქი გვქონდეს, რომ არა მარტო ქართველ, არამედ უცხოელ სტუდენტებსაც ჰქონდეთ აქ ცხოვრების საშუალება“, — ამბობს ზაზა წაქაძე.


ზაზა წაქაძე

70-იან წლებში აშენებულ სტუდქალაქში ბევრი არაფერი შეცვლილა, მაგრამ ოთახებში ელემენტარული საყოფაცხოვრებო პირობები: საწოლი, მაგიდა, კარადა და წიგნების თარო ყველას აქვს. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტი ნინო მუხაშავრია დასთან ერთად სწავლობს, ორივე დაოჯახებულია, გურიაში მათ მცირეწლოვანი შვილები ელოდებიან. „აქ მოსვლამდე საკმაოდ მძიმე პერიოდი გამოვიარეთ. ბინის ქირის გადახდა დიდ თანხებთან იყო დაკავშირებული. ჩვენთვის და ჩვენი ოჯახებისთვის დიდი შეღავათია, რომ ერთად ვართ და ბინის ქირას და გადასახადს არ ვიხდით. ადმინისტრაციის მისამართით მხოლოდ კარგის თქმა შეგვიძლია. ყურადღება ნამდვილად არ გვაკლია“, — ამბობს ნინო მუხაშავრია.

აზა ბენიძის თქმით, სტუდქალაქში ყველა მეგობრულად ცხოვრობს. პრობლემებსაც ერთად უმკლავდებიან. ის კი არა, ხატების კუთხესთან საერთო ყულაბაც კი დგას. დაუწერელი კანონია, რომ იქიდან ყველას, ვისაც იმ დღეს ყველაზე მეტად უჭირს, შეუძლია ფულის აღება. „უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის დაფინანსებით ექსკურსიებსაც ვაწყობთ. ამას წინათ მცხეთა და სიღნაღი მოვინახულეთ. ყველა კორპუსში გამოყოფილია ოთახი, სადაც სტუდენტები სხვადასხვა ღონისძიებებს მართავენ. ვცდილობთ, ამ ახალგაზრდების სტუდენტური ცხოვრება საინტერესო გავხადოთ“, — ამბობს აზა ბენიძე.





იუბილე

# რისთვის ივსებოდა მეცენატის ყულაბა

*1906 წელს თბილისის უნივერსიტეტის საძირკველში დავით სარაჯიშვილმა ერთი მუჭა ოქრო ჩაყარა, ნიკო ცხვედაძეს, რომელიც ამ საქმეს თავკაცობდა, 60 ათასი მანეთი მისცა და უთხრა: „აჰა, ჯერ ეს იკმარე, ოღონდ ნურსად გაამჟღავნებ. დაიწყე ეს საქმე და რამდენიც დაგჭირდება, აქ ვარ“. ცნობილი საზოგადო მოღვაწე, მწერალი იაკობ მანსვეტაშვილი იხსენებდა, რომ დავით სარაჯიშვილი უნივერსიტეტის მშენებლობისთვის არაფერს ზოგავდა, საკომისიო ბანკებში მის თამასუქებს ასიათასობით ანაღდებდნენ. „არ დაგივიწყებს შთამომავლობა და ყოველი ეროვნული საქმის დროს შენც, როგორც თანამოზიარე, ოცნებით გვერდით ეყოლები“, — წერდა მასზე აკაკი წერეთელი.*

**შურთხია ბეროშვილი**

დავით სარაჯიშვილი 1848 წელს დაიბადა თბილისელი ვაჭრის ზაქარია სარაჯიშვილის ოჯახში. თბილისის პირველი გიმნაზიის დამთავრების შემდეგ დავითმა სწავლა განაგრძო პეტერბურგის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე. ერთი წლის შემდეგ გერმანიაში გაემგზავრა, სადაც ჯერ მიუნხენში ისმენდა ლექციებს, შემდეგ კი იმ დროისთვის ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულ სასწავლებელში — ჰაიდელბერგის უნივერსიტეტში, რომელიც 1871 წელს წარჩინებით დაამთავრა. მას ქიმიისა და ფილოსოფიის დოქტორის ხარისხი მიანიჭეს. დავით სარაჯიშვილმა გერმანიაშივე განაგრძო სოფლის მეურნეობის საფუძვლიანი შესწავლა. 7 წლის შემდეგ საფრანგეთში გადავიდა და 2 წელიწადში უკვე ჩინებულ სპეციალისტად ჩამოყალიბდა. სწორედ იმ პერიოდში გადაწყვიტა მან, რომ საქართველოში დაბრუნებულიყო და სამშობლოში სპირტიანი სასმელების წარმოება წამოეწყო. საქართველოში 1880 წელს დაბრუნდა, ცოლად შეირთო ცნობილი ვაჭრისა და მემამულის — ივანე ფორაქიშვილის ქალიშვილი ეკატერინე. დავით სარაჯიშვილის ფირმის სამარკო კონიაკები სხვადასხვა დროს წარმოდგენილი იყო პარიზის, ყაზანის, ჩიკაგოს, პეტერბურგის გამოფენებზე და ჯილდოებიც მიიღო.

დავით სარაჯიშვილი და მისი მეუღლე დღევანდელი მაჩაბელის ქუჩაზე მდებარე სახლში ცხოვრობდნენ, სადაც ახლა მწერალთა კავშირია განთავსებული. იმ დროს სარაჯიშვილების სახლი საზოგადოებრივი ცხოვრების ცენტრს წარმოადგენდა. ეს ოჯახი იმ დროის ყველა კულტურულ-საგანმანათლებლო საკითხის გადაწყვეტაში იღებდა მონაწილეობას. საქართველოს უცხოელ მეგობრებსაც აქ იღებდნენ.

„დავით სარაჯიშვილის სახლი ნამდვილი სალონი იყო, რომელიც შეიძლება ჩაითვალოს ალექსანდრე ჭავჭავაძისა და მანანა ორბელიანის სალონების გაგრძელებად“, — წერდა ექვთიმე თაყაიშვილი. მის სახლს, თურმე, „ევროპასაც“ კი ეძახდნენ. აქ ხშირად იკრიბებოდნენ მწერლები, საზოგადო მოღვაწეები... მისი სტუმრები იყვნენ: ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, რაფიელ ერისთავი, იაკობ გოგებაშვილი, ვალერიან გუნია, არტურ ლაისტი და სხვები. ცნობილია, რომ ილია ჭავჭავაძე თავის ახლად დამთავრებულ ნაწარმოებებს მეგობართა წრეში კითხულობდა და, როგორც მისი თანამედროვენი გადმოგვცემენ, დავით სარაჯიშვილი იყო მისი ნაწარმოებების „ნათლია“. ილიას სწორედ მის სალონში წაუკითხავს „განდეგილი“ და „ოთარაანთ ქვრივი“.

XIX საუკუნის 90-იან წლებში დავით სარაჯიშვილის თაოსნობით აღადგინეს არაერთი ისტორიული ძეგლი, მათ შორის, მთაწმინდის, დიდუბის, ქაშვეთის ეკლესია-მონასტრები და ლურჯი მონასტერიც. მეცენატი დახმარებას უწევდა თბილისის სახალხო თეატრის მშენებლობას, მისი თაოსნობით ჩამოყალიბდა არა ერთი საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოება. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა და გაზეთ „ივერიის“ წარმატებული საქმიანობაც მნიშვნელოვნად იყო დამოკიდებული სარაჯიშვილის მხარდაჭერაზე. ცნობილია, რომ დავითი თავის ქარხანაში მუშების კეთილდღეობაზეც კი ზრუნავდა. მათთვის მან შეამცირა სამუშაო საათები და ვლადიკავკაზში მუშებისთვის საკვირაო სკოლაც კი დაუარსებია. მისი ინიციატივითა და ნიკო ცხვედაძის თავმჯდომარეობით დაფუძნებულა კომიტეტი, რომელსაც ნიჭიერი ახალგაზრდების გამოვლენა ევალებოდა. მეცენატი სტიპენდიებს უნიშნავდა სხვადასხვა სასწავლებლის ნიჭიერ სტუდენტებს. მისი სტიპედიანტები იყვნენ: დიმიტრი არაყიშვილი, მელიტონ ბალანჩივაძე, ზაქარია ფალიაშვილი, ია კარგარეთელი, კოტე ფოცხვერაშვილი, მოსე თოიძე, გიგო გაბაშვილი, დავით კაკაბაძე, კალისტრატე ცინცაძე (შემდგომში კათოლიკოს პატრიარქი) და სხვები. დავითი ფულად დახმარებას უწევდა, აგრეთვე, აკაკი შანიძეს, ვახტანგ კოტეტიშვილს, გერონტი ქიქოძეს, თედო სახოკიას, ნოე ჟორდანიას და სხვებს.



დავით სარაჯიშვილი 1911 წლის 20 ივნისს გარდაიცვალა. მისმა ანდერძმა კიდევ ერთხელ აღაფრთოვანა საზოგადოება. ანდერძის თანახმად, მისი მრავალმილიონიანი ქონება ქართველი ერის განვითარებას უნდა მოხმარებოდა. „თავისი ანდერძით სიკვდილი დათრგუნა და ბრწყინვალე შარავანდით შეიმოსა“, — ამბობდა იაკობ გოგებაშვილი.

დავით სარაჯიშვილის 100 წლის იუბილე თსუ-ის უნივერსიტეტში არასამთავრობო ორგანიზაცია „ეკონომიკური პოლიტიკის ექსპერტთა ცენტრის“ ორგანიზებით გაიმართა. მეცენატის ცხოვრება და შემოქმედება დამსწრე საზოგადოებას ორგანიზაციის წევრებმა გააცნეს. ღონისძიების ორგანიზატორის ვახტანგ ჩალაფეიქრიშვილის აზრით, დავით სარაჯიშვილის საქმიანობა, ძირითადად, ქველმოქმედებასთან ასოცირდება. მან დიდი წვლილი შეიტანა საქართველოს და, კერძოდ, თბილისის ინფრასტრუქტურის გაძლიერებაში.

„დავით სარაჯიშვილი გახლდათ ერთ-ერთი პირველი საერთაშორისო მასშტაბის ბიზნესმენი, ქველმოქმედი და საზოგადო მოღვაწე, რომელმაც მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი საქართველოს ეკონომიკურ და სულიერ განვითარებას. მან ერთ-ერთმა პირველმა მიიღო ევროპული განათლება და მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი. ის იყო ნათელი მაგალითი იმისა, თუ როგორ შეიძლება გამოიყენო საკუთარი ცოდნა და განათლება შენი ქვეყნისთვის, ამიტომ მისი გახსენება თითოეული ქართველის ვალია. სამწუხაროდ, დღევანდელი საზოგადოება ნაკლებად იცნობს მის საქმიანობას და იმ მასშტაბებს, რომლითაც იგი გამოირჩეოდა“, — აღნიშნა ვახტანგ ჩალაფეიქრიშვილმა.

# ნეკა დოროყაშვილი — „მის თსუ 2011“

ნატო ოზოლაძე

დატვირთული სასწავლო წლის შემდეგ თსუ-ის სტუდენტები ნელ-ნელა დასვენებისა და გართობის აქტიურ ფაზაში გადადიან. გამოცდების „ციებ-ცხელების“ მიუხედავად, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტურმა თვითმმართველობამ „საზაფხულო“ პროექტების განხორციელება დაიწყო და პირველად თსუ-ის ისტორიაში სილამაზის კონკურსი — „მის თსუ“ გამართა. ღონისძიება კუს ტბაზე 27 ივნისს მოეწყო და მას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლები, პროფესორ-მასწავლებლები, სტუდენტები და მოწვეული სტუმრები დაესწრნენ. საღამოს რადიო „ფორტუნა პლუსის“ D.J. - მიკი და ტელეკომპანია „რუსთავი 2”-ის კორესპონდენტი ეკა ამირეჯიბი უძღვებოდნენ. სილამაზის კონკურსის მაყურებლებისთვის ხალისიანი განწყობის შესაქმნელად კი რამდენიმე სიმღერა „ჯეოსტარელებმა” — ნოდიკო ტატიშვილმა, სალომე ბაკურაძემ და მარიამ ხუცურაულმა შეასრულეს.

მიუხედავად იმისა, რომ სილამაზის კონკურსი საათნახევრის დაგვიანებით დაიწყო, სტუმრები დიდი ინტერესით ელოდნენ კონკურსანტების გამოჩენასა და „მის თსუ 2011“-ის გამოვლენას. ჟიურის თსუ-ის სტუდენტებიდან შერჩეულ 11 ულამაზეს გოგონას შორის მოუწია არჩევანის გაკეთება, რაც არც თუ ისე მარტივი აღმოჩნდა. „მის თსუ 20011“-ის ტიტულის მოპოვებას სილამაზის კონკურსზე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები ნინო მახარაძე, ანი ესაკია, სალომე ხომერიკი, ლელა ცხოიძე, ნინო ჭუმბურიძე, ანი ჯანაშია, ლელა ფილოევა, ანა შათაქიშვილი, ანა ბურდიაშვილი, ნეკა დოროყაშვილი და სალომე აბაშიძე ცდილობდნენ. გოგონები მაყურებლის წინაშე სპორტულ ფორმასა თუ საღამოს კაბებით წარსდგნენ. ჟიურიმ გამარჯვებულები 4 ნომინაციაში გამოავლინა. პირველი ვიცე „მის თსუ“ ნინო მახარაძე გახდა, მეორე ვიცე „მის თსუ“ — ანი ესაკია, ხოლო „მის ფოტოგენურობისა” და „მის თსუ 2011“-ის ტიტულები ნეკა დოროყაშვილს გადაეცა. კონკურსში გამარჯვებული ნეკა დოროყაშვილი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს 8 ივლისს ბათუმში დაგეგმილ სილამაზის კონკურსზე – „მის სტუდენტი“ წარადგენს.

„ჩემთვის რთული იყო ღონისძიებაში მონაწილეობის მიღება, რადგან სილამაზის კონკურსებში მონაწილეობის გამოცდილება არ მქონია. მთავარია, რომ აბსოლუტურად ყველა კონკურსანტს, ღონისძიების მიმდინარეობის დროს, არაჩვეულებრივი განწყობა გვქონდა. ძალიან გამიხარდა, როდესაც ჟიურიმ გამარჯვებულად დამასახელა, თუმცა ჯერ ბოლომდე ამის დაჯერებაც მიჭირს. ნამდვილად არ ველოდი წარმატებას, „მის თსუ 2011“-ის სილამაზის კონკურსზე ძალიან ლამაზი გოგოები მონაწილეობდნენ“, — განაცხადა „მის თსუ 2011“-მა ნეკა დოროყაშვილმა.

ნეკა დოროყაშვილს სილამაზის კონკურსის მთავარი სიმბოლო — მთის ბროლის დიადემა „მის საქართველო 2003“-ის გამარჯვებულმა ირინე ონაშვილმა გადასცა, რომელიც ჟიურის ერთ-ერთი წევრიც გახლდათ.

„კარგია, როდესაც ასეთი სახის ღონისძიებები იმართება. ნამდვილად სასიამოვნოა ამდენი ლამაზი ადამიანის ერთდროულად ნახვა. სილამაზის კონკურსებზე ყოფნისას მღელვარება ყოველთვის მემატება, რადგან კარგად მესმის მონაწილე გოგონების. მათ შორის საუკეთესოს გამოვლენა კი ჩემთვის ძალიან დიდი პასუხისმგებლობაა“, — გვითხრა ირინე ონაშვილმა.

„სილამაზის კონკურსის „მის თსუ 2011“-ის ჟიური კიდევ 6 ადამიანისგან შედგებოდა, მათ შორის იყვნენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი ალექსანდრე კვიტაშვილი, სპორტისა და კულტურის დეპარტამენტის ხელმძღვანელი ირაკლი ხარჯავანიძე, თსუ-ის თვითმმართველობის პრეზიდენტი დაჩი გუბაძე, საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრის პირველი მოადგილე გიორგი ავალიანი, სილამაზის კონკურსის — „სტუდენტური სახის“ ორგანიზატორი ნათია ცაბუტაშვილი და ვიცე „მის საქართველო” ნანუკა გოგიჩაიშვილი.



„რთული იყო არჩევანის გაკეთება. კონკურსში, მართლაც, ერთმანეთზე ულამაზესი გოგონები მონაწილეობდნენ. რთულია ასეთ დროს საუკეთესო გამოარჩიო. ჟიურიში 7 წევრი იყო და, საკმაოდ დიდი ბჭობის შედეგად, ნეკამ გაიმარჯვა. ეს სილამაზის კონკურსი სტუდენტური ცხოვრების ნაწილია. აბსოლუტურად ყველა უმაღლეს სასწავლებელში სწავლას დასვენება და გართობა მოყვება და მიხარია, რომ, ამ მხრივ, ჩვენი სტუდენტური თვითმმართველობა ძალიან აქტიურობს“, — განაცხადა თსუ-ის რექტორმა ალექსანდრე კვიტაშვილმა.

„კონკურსზე ჩემმა ფავორიტმა გაიმარჯვა. სასიხარულოა, რომ ეს გადაწყვეტილება ჟიურის დანარჩენმა 6 წევრმაც გაიზიარა, თუმცა არჩევანის გაკეთება მაინც ძალიან გაგვიჭირდა. ყველა მონაწილე ულამაზესი იყო. მინდა, ასევე, აღვნიშნო, რომ ბოლო 4 წელია „მის საქართველოს” კონკურსზე თსუ-ის სტუდენტები იღებენ გამარჯვებულის ტიტულს და ეს ფაქტიც იმაზე მეტყველებს, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, მართლაც, ულამაზესი გოგონები სწავლობენ. დიდი იმედი გვაქვს, რომ „მის თსუ 2011“ სილამაზის კონკურსზე — „მის სტუდენტი“ ბათუმში წარმატებას მიაღწევს“, — აღნიშნა თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტმა დაჩი გუბაძემ.

სილამაზის კონკურსის „მის თსუ 2011“-ის მოსამზადებელი ეტაპი ერთი თვის მანძილზე გრძელდებოდა. კონკურსის მთავარი სპონსორი ესთეტიკური მედიცინის ცენტრი “SHINE” გახლდათ, რომელმაც 4 ნომინაციაში გამარჯვებულ გოგონებს საჩუქრად კოსმეტოლოგიური მომსახურებისა და სოლარიუმით სარგებლობის აბონემენტები გადასცა.





# ლექსო დორეულის ლექსები სომხურად



ნატო ოზოლაძე

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტის, ახალგაზრდა პოეტის ლექსო დორეულის ლექსები სომხურად ითარგმნა და დაიბეჭდა წიგნში — „თანამედროვე ქართული პოეზიის ანთოლოგია“. ორენოვანი წიგნი თანამედროვე ქართველი ახალგაზრდა პოეტების გამორჩეული ლექსების კრებულია, რომელიც სომხურ ენაზე ახალგაზრდა სომეხმა პოეტებმა თარგმნეს და გამოსცეს. „თანამედროვე ქართული პოეზიის ანთოლოგია“ ერევანში უკვე გაყიდვაშია და მასში 9 ქართველი ავტორის ლექსებია შესული, მათ შორის, ლექსო დორეული ასაკით ყველაზე პატარაა.

წიგნში „თანამედროვე ქართული პოეზიის ანთოლოგია“ ლექსო დორეულის ლექსები: „დაკარგულები“ და „შემოდგომა“ შევიდა, რომლებსაც კრიტიკოსები ახალგაზრდა პოეტის საუკეთესო ლექსად თვლიან. აღსანიშნავია, რომ ამ ლექსებმა სომეხი მკითხველის განსაკუთრებული მოწონებაც დაიმსახურა. წიგნის პრეზენტაცია და განხილვა მაისის თვის მიწურულს ქალაქ ერევანში საერთაშორისო პოეზიის ფესტივალზე გაიმართა. მასში ქართველი, სომეხი და ირანელი პოეტები მონაწილეობდნენ.

„როდესაც ამ პროექტში ჩავერთე, ძალიან გამიხარდა. საკმაოდ ბევრი პოეტი თუ მწერალია საქართველოში და როდესაც მათ შორის უპირატესობას მოგანიჭებენ, რა თქმა უნდა, საამაყოა. როცა იქ ჩავედით, წიგნი უკვე გაყიდვაში იყო, უკვე იცნობდნენ ჩვენს შემოქმედებას და საკმაოდ პოპულარულებიც ვიყავით. სომხებმა ქართულადაც წაგვიკითხეს ჩემი ლექსები, რაც ძალიან გამიხარდა. ახლა ვაპირებთ, რომ ჩვენც ვთარგმნოთ ახალგაზრდა სომეხი პოეტების ლექსები და ისინი თბილისში მოვიწვიოთ“, — გვითხრა ლექსო დორეულმა.

საერთაშორისო პოეზიის ფესტივალს, საქართველოს მხრიდან, ორგანიზება თბილისის მერიამ და საქართველოს მწერალთა კავშირმა გაუწია, სომხური მხრიდან კი — სომხეთის განათლების სამინისტრომ და მწერალთა კავშირმა. როგორც ფესტივალზე გახდა ცნობილი, უახლოეს მომავალში ახალ წიგნზე — „კავკასიის პოეზიის ანთოლოგიაზე“ დაიწყება მუშაობა, სადაც ქართველი, სომეხი, აზერბაიჯანელი და თურქი ახალგაზრდა პოეტების ლექსები შევა.

„ეს ისტორიული პროექტია, რადგან ერთმანეთთან დაპირისპირებულ ისეთ ერებს დააახლოებს ერთმანეთთან, როგორიც სომხები და აზერბაიჯანელები არიან. მნიშვნელოვანია, რომ ამ პროექტში მონაწილეობაზე ორივე ქვეყანამ თანხმობა განაცხადა,“ — აღნიშნა ლექსო დორეულმა.

ამ დროისთვის ლექსო დორეულს ორი ლექსების კრებული აქვს გამოცემული: „დაკარგულები“ და „გაუხედნელი ლექსები“. მანვე თარგმნა და გამოსცა „ქართულ-პოლონური საბავშვო ლიტერატურის ალმანახი“. უახლოეს მომავალში კი მისი თანაავტორობით გამოვა ფილოსოფიური ნაშრომი, რომლის რედაქტორიც ფილოსოფიის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი სერგო ავალიანი გახლავთ.

მთავარი რედაქტორი ნინო კაკულია
მთავარი სპეციალისტი მაია ტორაძე
ტექნიკური რედაქტორი მანანა ჯურხაძე
ფოტოკორესპონდენტი ლიკა პეტრიაშვილი
კომპიუტ. უზრუნველყოფა ზაზა გულაშვილი

რედკოლეგიის წევრები:
რისმაგ გორდეზიანი, ნოდარ ბელქანია, იაგო კაჭკაჭიშვილი, ლადო მინაშვილი, ნინო ჩიხლაძე, თემურ ნადარეიშვილი, ნოდარ ხადური, მარინე ჩიტაშვილი, ვაჟა კიკნაძე, დიანა ძიძიგური, ნანა ჭიღლაძე, თეა ჯუღელი

მისამართი:
ილია ჭავჭავაძის გამზ. 11°
(თსუ-ის მე-3 კორპუსი)
22 36 62